

„ბოკერია და კანდელაკი მოითხოვდნენ,

③



არ დაკმაყოფილებულიყო პიზა-
ლიბერალიზაციის საკითხი“

საქართველოს მტრები



②

75-მილიონიანი
სოფელი
სახელმწიფოს
დაფინანსებით

საქართველოს
აგდანი
საჯარო თუ
სახელმწიფო
მოხელე
არ სჭირდება

③



① ახალი ძალა ქართულ პოლიტიკაში

თეატრალური სცენიდან - პოლიტიკურ ავანსცენაზე

„საბარტოველოს განვითარების ფონდი“- ან
სახელწოდების საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ორგანიზაცია დააფუძნა პაატა ბურჭულაძემ. ფონ-
დი საჯარო რეესტრში 30 ოქტომბერს დარეგისტ-
რირდა. ფონდის სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარეა პაატა ბურ-
ჭულაძე, წევრები არიან: ვანო მაჭავა-
რიანი, რომელიც ასევე არის აღმას-
რულებელი დირექტორი, მერაბ ტყე-
შელაშვილი, ირაკლი გურჩიანი, და-
ვით ჯანდიერი, გიორგი რუხაძე და
დამოუკიდებელი ექსპერტი ხათუნა
ლაგაზიძე.

ორგანიზაციის წესდების მიხედ-
ვით, ფონდის მიზანია ფართო სა-
ზოგადოებას წარუდგინოს წინა-
დადებები შემდეგი მიმართულე-
ბით - სახელმწიფო მმართველობა
და დემოკრატია, კონსტიტუციური საკითხები,
ეკონომიკური პოლიტიკა, ადამიანის უფლებე-
ბი, ჯანდაცვა და სოციალური საკითხები, ენერ-
გეტიკა და გარემოს დაცვა, საგარეო პოლიტიკა,
სამოქალაქო შერიგება.

ფონდის მიზნებსა და ამოცანებზე ოფიცია-
ლურ განცხადებას პაატა ბურჭულაძე მომავალ
კვირას გააკეთებს, ხოლო დეკემბერში გაიმარ-
თება ფონდის პრეზენტაცია.

მაშ ასე, პაატა ბურჭულაძის ხელმძღვანელო-

ბით ქართულ პოლიტიკაში კიდევ ერთი, ახა-
ლი ძალა გამოჩნდა.

მართალია ფონდის წევრები აცხადებენ, რომ
„საქართველოს განვითარების ფონდი“ - სა-
ზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგა-
ნიზაციის საქმიანობით შემოიფარ-
გლება, თუმცა არსებული ინფორმა-
ციით, ორგანიზაცია საბოლოოდ პო-
ლიტიკურ ძალად უნდა ჩამოყალიბ-
დეს და ეს დასავლური ღირებულებე-
ბების მატარებელი ახალი პოლიტი-
კურ ძალა იქნება საქართველოში.

პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი
საგარეო ურთიერთობათა საკითხებ-
ში ვანო მაჭავარიანი, რომელიც ფონ-
დის აღმასრულებელი დირექტორია,
for.ge-სთან საუბრისას აცხადებს,
რომ ფონდის მიზანია, საზოგადოება
მაქსიმალურად იყოს ჩართული ყველა იმ თემის
განხილვაში, რომელიც მნიშვნელოვანია და აქ-
ტუალურია დღეს.

რაც შეეხება ფონდის საბოლოოდ პოლიტი-
კურ ძალად ჩამოყალიბებას, მაჭავარიანის გან-
ცხადებით, ფონდი საზოგადოებას სთავაზობს
ურთიერთობის ახალ ფორმას, რომელიც გუ-
ლისხმობს მაქსიმალურ ჩართულობას თემებზე,
რომელიც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია.

თამთა ძარჩავა



მოსახლეობა თაღლითური გარიგებით ბინებს კარგავს ④

① ოდესის გუბერნატორი დაუპრავავში გადადის...

რადან წარმოადგენელმა სააკაშვილს სასამართლოში უჩივლა



რადან ეკონომიკური პოლი-
ტიკის კომიტეტის თავმჯდომე-
რემ ანდრეი ივანჩუკმა ოდესის
გუბერნატორის მისიელ სააკაშ-
ვილის წინააღმდეგ სასამართ-

ლოში სარჩელი შეიტანა. რო-
გორც ივანჩუკმა უკრაინულ ტე-
ლეარხ „24“-ის პირდაპირ ეთერში
განაცხადა, სააკაშვილმა მას ქურ-
დი უწოდა.


საკაშვილის განცხადებით, უკ-
რაინის სახელმწიფო მმართვე-
ლობიდან უნდა მოაშოროს ოლი-
გარქები, რომლებიც უკრაინას
თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ.

„ოლიგარქებს მიაჩნიათ, რომ უკ-
რაინა მათი საკუთრებაა, აქციონერ-
რული კომპანიასავით, რომელსაც
ისინი მართავენ და შემდეგ დირექ-
ტორთა საბჭოს წევრები. დირექ-
ტორთა საბჭო - არ არიან მინის-
ტრები, ეს ის ხალხია, რომლებიც
რეალურად აკონტროლებენ ჩვენს
სახელმწიფოს და რომლებიც უნ-
და მოვავშოროთ მმართველობიდან.

ჩვენ უნდა მოვაშოროთ ისინი
უკრაინის მმართველობას, მათ არ
უნდა მიაჩნდეთ, რომ უკრაინა მა-
თი საკუთრებაა. საკმარისია ის მი-
ლიარდები, რაც მათ ჭამეს. ვიმე-
დოვნებთ, რომ ამ მილიარდების
წაწილს მაინც დავიბრუნებთ... ხო-
ლო მანამდე, მათ უნდა დატოვონ
ქვეყნის მმართველობა.

ეს ხალხი ძარცვავს უკრაინას.
საიდან აქვთ მათ ფული? გამო-
საძიებელია არამართო კორბა-
ნის საქმიანობა, ასევე კოლომო-
ისკის, ივანჩუკის, მარტინენკოს...
ყველა ქურდი ცინეზი უნდა იყოს,
თუნდაც პრეზიდენტის ან პრე-
მიერის გუნდს წარმოადგენდ-
ნენ“ - განაცხადა მისიელ საა-
კაშვილმა უკრაინულ ტელეარხ
„24“-ის პირდაპირ ეთერში.

„შენი ბორონით მეც გავსულვარ გაღმა ნაპირზე...“ ⑤



მეგობრების
უკვდავებისთვის
გაბეძვება...

⑦

ლაშა ბახარიას
სახლ-მუზეუმი მუხურობი

პრემიერი სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სპიკერს შეხვდა



საბარტეშელის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სპიკერ პეტერ პელეგრინის შეხვდა.

შხარებმა საქართველო-სლოვაკეთის თანამშრომლობისა და ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგის მთავარი საკითხები განიხილეს.

ირაკლი ლარიბაშვილმა და პეტერ პელეგრინიმ ისაუბრეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფარგლებში ორი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე. ყურადღება გამახვილდა პარლამენტთაშორის ურთიერთობებზე, სხვადასხვა სტრუქტურებს შორის სექტორული თანამშრომლობის განვითარებისა და ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის დიალოგის პროცესებს. აღინიშნა, რომ უვიზო რეჟიმის შემოღება იქნება ევროკავშირის მხრიდან საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდაჭერის ნათელი დემონსტრირება და საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგი.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გამართულ შეხვედრას ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და საქართველოს სავაჭრო-გეო და სრულუფლებიანი ელჩი სლოვაკეთში ალექსანდრე ნალბანდოვი დაესწრნენ.

გზად – მოგვლისკენ!

ინფორმაცია

ვინ გაუქმებს მსოფლიო რყევებს?

თბილისში მიმდინარეობს საერთაშორისო კავკასიური მედიაფორუმი „მსოფლიო რყევების ეპოქაში: ვინ გაუქმებს“.

ფორუმის ესწრებიან სტუმრები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთიდან. ორი დღის განმავლობაში წამყვანი რუსული მედიასაშუალებების მთავარი რედაქტორები ჟურნალისტებს ჩაუტარებენ მასტერ-კლასებს და ტრენინგებს. გაიმართება ასევე დისკუსიები და მრგვალი მაგიდები.

ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხებენ: რადიო სადგურ „Говорит Москва“-ს დირექტორი ვლადიმერ მამონტოვი, ჟურნალ „Русский репортёр“-ის მთავარი რედაქტორი ვიტალი ლეიშინი, „Комсомольская правда“-ს მთავარი რედაქტორი ვლადიმერ სლუგორკინი, „დამოუკიდებელი სამეცნიერო ცენტრის“ ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის“ დირექტორი ვეგენი სატანოვსკი.

პოლიტიკის მაღალჩინოსანი

ადვოკატის სამსახურის ფაქტობრივი

დაკავებული

პროკურობაში ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-9 განყოფილების უფროსი ლაშა კვირკვაია დააკავა. აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურატურა განცხადებას ავრცელებს, რომელშიც განმარტავს, რომ კვირკვიას აყვანა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადახედვით ბრალდებით მოხდა.

„გამოძიების ფარგლებში უკვე დაკითხულია 18 მონღე, მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერტიზები პოლიციის განყოფილებაში გ.მდინარაძის მონაწილეობით. დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო, ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური, გენეტიკური და კომპიუტერული ექსპერტიზები.

პროკურატურა გეგმავს კანონით დადგენილ ვადაში დაკავებულისთვის ბრალის წაყენებას და სასამართლოსთვის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით მიმართვას, რის შემდეგაც უფრო დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ.

ამ ეტაპზე გამოძიება გრძელდება ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

დაიწყო გუდიაშვილის მოადნის

რეაბილიტაცია

თბილისის განვითარების ფონდი გუდიაშვილის მოედნისა და მისი მიმდებარე არეალის რეაბილიტაციას აღდგენა-შენარჩუნების გეგმის მისვლით

ასორციელებს. მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია და ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში გუდიაშვილის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების საკომუნიკაციო ქსელების შეცვლა და მიწისქვეშა წყლების მოცილების პროცესი განხორციელდება.

„ჩვენ ვასორციელებთ 35 სახლის გამაგრებას, რომლის შემდეგაც დაგეგმვით მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციას. დეკემბრამდე დასრულდება სამუშაოების პირველი ეტაპი და ამის შემდეგ დაიწყება სრული რეაბილიტაცია“, – განაცხადა თბილისის ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ.

თბილისის განვითარების ფონდი გუდიაშვილის მოედნისა და მისი მიმდებარე არეალის აღდგენა-შენარჩუნების გეგმა მოიცავს ისტორიულ უბანში მდებარე თითოეული შენობის და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-კულტურულ, გეოლოგიურ, ურბანულ კვლევას. დოკუმენტის მიხედვით შეიქმნება არქიტექტურული პროექტები გუდიაშვილის მოედნის არეალში მდებარე სარეაბილიტაციო ობიექტებისთვის.

„გაპიხნოთ ლიბა და შეხეცადოთ.

ვისაუბროთ ლიბურად“

საბარტეშო საქმეთა სამინისტროში ლიტერატურა-თული სასაუბროს – „გაპიხნოთ ლიბა და შეხეცადოთ, ვისაუბროთ ლიტერატურად“ პრეზენტაცია გამართა. სასაუბრო საქართველოში ლიტერატურის რესპუბლიკის საელჩოს მიერ გამოიცა.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მინისტრის მოადგილე გიგი გიგიაძემ და საქართველოში ლიტერატურის ელჩმა გიგიაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი პროექტები ორ ქვეყანას შორის არსებული ისტორიული კავშირებისა და მჭიდრო მეგობრული ურთიერთობების კიდევ ერთი გამომავალურებაა, რაც ხელს უწყობს ლიტერატურის პოპულარიზაციას საქართველოში. მინისტრის მოადგილე მისაქალაქო-მავალში მსგავსი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელებას სხვა ქვეყნების საელჩოების მხრიდანაც, რათა კულტურული და ხალხთაშორის კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდეს.

პრეზენტაციაზე მონაწილე მწერლები იყვნენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ასევე თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურის ენის ცენტრის სტუდენტები.



„გეორგია“: 75-მილიონიანი სოფელი სახელმწიფოს დაფინანსებით

გვესაუბრება ვიტორანის სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი შიხიაშვილი

– საზღვრისპირა რეგიონებში ვეტერანების დასახლებისთვის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება იქნება. ეკონომიკურმა საბჭომ ვეტერანთა კომპერატიული სასოფლო-სამეურნეო თემის პროექტის საბოლოო ვერსია მოიწონა. საიდან წამოვიდა ეს იდეა და რა არის პროექტის მიზანი?

– იდეა წამოვიდა უწმინდესისგან. სამწუხაროდ, საზღვრისპირა რეგიონებში ყველა მიმართულებით ძალიან შემცირდა მოსახლეობა, ამიტომ უწმინდესის იდეა იყო – მომხდარიყო საზღვრისპირა რეგიონებში ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების ჩასახლება. კონსულტაციების შემდეგ, ჩამოვეყალიბდით, რომ საზღვრისპირა რეგიონებში დაგვესახლებინა ვეტერანები. ეს ჩემი იდეა იყო, მოიწონა უწმინდესმა, ეს საუბარი გაგრძელდა პრემიერ-მინისტრთან და მისი თანხმობით და თანადგომით გადაწყდა, რომ დაგვეწყო მუშაობა ვეტერანების დასახლებების შექმნის პროგრამაზე.

ამის შემდგომ ვიყავით ვიზიტით ისრაელში, რადგან ისრაელია სწორედ ის სახელმწიფო, რომელიც გარშემორტყმულია ყველა მხრიდან არაკეთილადგან-

წყობილი მეზობლებით და მიუხედავად ამისა, ეკონომიკური ზრდის პროცესი ამ ქვეყანაში არ ჩერდება. ისინი იცავენ საკუთარი ქვეყნის საზღვრებს, იქ ასეთი 320 სოფელია. ვეტერანები ომის მერეც აგრძელებენ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ჩართულობას. თოფი, რომელიც გაიცვალა თოხზე, ისევე მნიშვნელოვანია საკუთარი ქვეყნისთვის, როგორც იარაღით საკუთარი სამშობლოს დაცვა.

– ჩვენთან რამდენი იქნება ასეთი დასახლება და რომელ რეგიონებში ფიქრობთ ამის ჩამოყალიბებას?

– როდესაც ჩვენ შევისწავლეთ სისტემა, თუ როგორ არის დაგეგმილი და განხორციელებული, გაგვიჩნდა სურვილი, ეს უზარმაზარი გამოცდილება გაგვეზიარებინა როგორც საზღვრის დაცვის კუთხით, ასევე სოფლის მეურნეობის წარმოების მიმართულებით. ისრაელი არის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთ-ერთი ძლიერი ექსპორტიორი, მაშინ, როდესაც ქვეყანას აქვს ძალიან მძიმე მეტეოკლიმატური, არ აქვს მიწა, მაგრამ დიდი შრომის, ახალი ტექნოლოგიების ხარჯზე ახერხებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს.

ისრაელელ მეგობრებთან ერთად, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ ამ მიმართულებით, დავდეთ ხელშეკრულება, საქართველოს ერთ-ერთ საზღვრისპირა რეგიონში შეგვექმნა ასეთი სოფელი. ისრაელში ასეთ სოფლებს ჰქვია „მოშავი“ და დიდი მსჯელობის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვექმნა „გეორგია“.

გარდაბნის რაიონში მდებარე ყოფილ კოლმეურნეობა „პოხედაში“ გვეგმავეთ პირველი საპილოტე სოფლის განხორციელებას. გავაკეთეთ „ფიზიკილითი სტადი“, ხელშეკრულება დაიდო ვეტერანთა მისასახურსა და „ფორტუნა პოლდინგს“ შორის. დაფინანსება გამოიყოს საპარტნიორო ფონდმა – 200 ათასი დოლარი. დღეს უკვე გვაქვს სამუშაო და სამოქმედო დოკუმენტი და ამ დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია, არა-თუ ვივარაუდოთ, არამედ ვიყოთ მაქსიმალურად დარწმუნებულები იმაში, რომ ამ სოფლის აშენება წარმატებული იქნება. მთავრობამ მიიღო პრემიერ-მინისტრის ინიციატივით გადამწყვეტილება, რომ ბიუჯეტიდან მომხდარიყო პირველი საპილოტე პროექტისთვის ფულის გამოყოფა, საუბარია 75



მილიონ დოლარზე. საზოგადოებში გარკვეული ნაწილისთვის არ იყო მინოდებული სრული ინფორმაცია, რაც მითქმა-მოთქმის საგანი გახდა. ყველას ეგონა, რომ ეს არის სოციალური პროექტი, მაგრამ ეს არ არის მარტო სოციალური პროექტი – ეს ფული უკან უნდა დაბრუნდეს.

– როგორ, რა სისტემით უნდა მოხდეს ამ ფულის დაბრუნება?

– სოფელში იქნება მესაქონლეობა, მერქნეობა, რძის გადამამუშავებელი ქარხანა, საქონლის კვების ცენტრი, სათბურები, ასევე იქნება ახალი სისტემები – ირიგაციის და მზის ენერგია. ამ ყველაფრის დანერგვის შემდეგ სოფელში მოხდება 550 ვეტერანის ოჯახის ჩასახლება, რომლებიც ამ სფეროებში დატრენინგებული იქნებიან. წარმოებული პროდუქ-

ტის რეალიზაციის შედეგად მიღებული მოგება, ისინი იქნებიან უნარიანი, გადაიხადონ სახელმწიფოსგან სესხად მიღებული თანხა, ასევე განხორციელონ ინვესტირება სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტში, რათა განვითარდეს სოფელი. ასევე ოჯახები, როგორც მეპაიეები, დივიდენდის სახით გაინაწილებენ მოგებას, რაც გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩება. ეს იქნება ერთი დიდი კოოპერატივი, სადაც ყველა ექნება თანაბარი წილი და თანაბარი უფლებები.

– როგორი იქნება სესხის პირობები? მაგალითად, დღეს გვაქვს „შეღავათიანი აგროკრედიტი“, სადაც სესხის ნაწილს ინდის სახელმწიფო, ნაწილს ფერმერი. ყველა თანაბარ სესხს აიღებს?

– ეს არის სოფლის სესხი და არა თითოეული ადამიანის ინდივიდუალურად. ყველა ერთად ქმნის დოვლათს და რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლით ინდის ვალს.

ეს არის უპროცენტო სესხი, სახელმწიფო აძლევს ამ თანხას, ავიტარებს სოფელს და შემდეგ უკან იბრუნებს თანხას, რომ სხვა პროექტებში ჩადოს.

© გიორგი კოლონა

„ბოქსირი და კანდალაკი მოითხოვდნენ, რომ წელს არ დაქვეითებულიყო მიხეილ ბახატაძის საკითხი“

საქართველო-აშშ ურთიერთობის ასოციაციის კომიტეტი საფიზიკო რეგიონის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში, საქართველოს მიერ მიღწეულ სწრაფ პროგრესს სრულად ადასტურებს და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისთვის ასოციაციის საბჭოს რეკომენდაციებს აძლევს. ასოციაციის კომიტეტის მიერ მომზადებული 32-პუნქტიანი განცხადება კი, ქართულ მხარეს იმედებს უსახავს, რომ საქართველო შეძლებს, ისარგებლოს უფიზიკო მიმოსვლით.

ამის მიუხედავად, ქართული მხარის იმედები შესაძლოა უპრესპექტივო აღმოჩნდეს. For.ge-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების გიგა ბოკერიას და გიორგი კანდელაკის ესპანეთში გამართული შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეეხებოდა.

უცხოელ კოლეგებთან მათი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ ამ წელს არ დაეკმაყოფილებულიყო ვიზალიბერალიზაციის საკითხი. ნაცმოძრაობის ლიდერებმა არგუმენტად ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობა და თავისუფალ მედიაზე ზეწოლა დაასახელეს. ამავდროულად ინფორმაციით, ესპანეთიდან საქართველოსკენ მომავალი გიგა ბოკერიას სტამბულში ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს შეხვდა.

რამდენად გაითვალისწინებს დასავლეთი ნაციონალების არგუმენტებს, ეს ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ანალიტიკოსების განცხადებით, ნაციონალური მოძრაობის წევრები მიზანმიმართულად მოქმედებენ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

პოლიტიკოლოგ სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, მმართველი კოალიციის ყველა წარუმატებლობა, ნაციონალებისთვის აღიქმება, როგორც გამარჯვება.

„რასაკვირველია, ნაციონალები არ მოქმედებენ სახელმწიფოებრივად. მათ საკუთარი პოლიტიკური და პირადი ინტერესები დააყენეს ბევრად უფრო წინ, ვიდრე სახელმწიფოებრივი ინტერესები. მე დიდი ხანია, ვაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, რომ პროგრესი „ნაციონალური მოძრაობისა“ გამოიხატება იმით, რომ ნაცვლად ნაციონალურ-სადისტური მოძრაობისა, ხელში შემოგვრჩა ნაციონალ-მაგნეტური პოლიტიკური ძალა, რომელიც ცხადია, ცდილობს, აგნოს სახელმწიფოს.

ეს გახლავთ ნაწილი მათი წინასაარჩევნო პოლიტიკის, რომლის განხორციელება 2012 წლის 2 ოქტომბრიდან დაიწყო ნაციონალებმა. მიზანი ერთია — „კვლავ ვიყოთ ნაციონალები ქვეყნის სათავეში“. დღევანდელი წელისუფლების ყველა წარუმატებლობა, ნაციონალებისთვის არის გამარჯვება“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

პოლიტიკოლოგი ვახტანგ ძაბირაძე განმარტავს, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ გზა გადის დასავლეთის დარწმუნებაში, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესი არ მიდის, რადგან ქვეყნის შიგნით ნაციონალებს უჭირთ, მოსახლეობის დამოკიდებულება არ შეცვლილა.

„ნაციონალების ძირითადი მიზანია წელისუფლების ხელში ჩაგდება. ამიტომაც მიდიან ყველაფერზე. იმ შემთხვევაში თუკი ვიზალიბერალიზაციის პროცესი გაჩიანდებოდა, ეს იქნება თარგმნილი ისე, რომ აი დასავლეთმა იმის გამო, რომ „რუსთავი-2“-ზე არის შეტევა არ მოგ-



ვცა ვიზალიბერალიზაცია. იცინა, რომ ეს მიდგომა მოსახლეობაში გამოიწვევს გაღიზიანებას და ამიტომ მუშაობენ ამ მიმართულებით. ძალიან მარტივადაა საქმე. ქვეყანაზე მოფიქრალი ნაცმოძრაობა მე არ მახსენდება“, — ამბობს ვახტანგ ძაბირაძე.

„რუსთავი-2“-ის საქმე საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის პროცესში შემაბრკოლებელი ფაქტორი ვერ გახდება“ — ადასტურებს ევროკავშირის ელჩი, რომლის განცხადებით, ვიზალიბერალიზაციის პროცესსა და „რუსთავი 2“-ის საკითხს შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს.

16 ნოემბერს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის საბჭოს მეორე სესიონი გაიმართება, რომელიც საქართველოს აძლევს შესაძლებლობას უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე შეაჯამოს არსებული პროგრესი და მოამზადოს საფუძველი ახალი მიღწევებისა და ინიციატივებისთვის.

მართა ლაბაძე

© ბიუჯეტი

ჩინოვანების ხელფასები ისევ იზრდება. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტით, სამთავრობო უწყებების შრომითი ანაზღაურება დაახლოებით 57 მილიონ ლარით გაიზრდება, რამაც უკვე დაიმსახურა ცალკეულ ექსპერტთა კრიტიკული შეფასება. ცხადია, ასეთი ტონი ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხალაშის არ მოეწონა და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა, იმ ექსპერტს, რომელმაც კრიტიკა გამოხატა, ბიუჯეტში ჩაესხდა. თუმცა ბიუჯეტში ჩახედვა რომ არ არის საკმარისი და სამთავრობო უწყებებში შრომის ანაზღაურების პერმანენტულმა მატებამ რომ მეტი დასაბუთება სჭირდება, ამას ეკონომიკის პროფილის სხვა ექსპერტებიც ადასტურებენ. ამ საკითხთან დაკავშირებით For.ge-ს ექსპერტი ევრო-მიკის საკითხებში პაბატა ბაროშვიმ ესაუბრა.

— თქვენც გიჩნდებათ კითხვის ნიშნები, რომ 2012 წელთან შედარებით, ცენტრალური ხელისუფლების შრომის ანაზღაურება 389 მილიონ ლარით გაიზრდება?

— თანხები ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კუთხით უნდა გაიზარდოს და არა ხელფასების კუთხით. მით უმეტეს, ფინანსთა მინისტრმა ვერ დაასაბუთა იმის აუცილებლობა, თუ რატომ ხდება ხელფასების გაზრდა. კი, გასაგებია, ამის მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფო მოხელეს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს, მაგრამ დღევანდელი ბიუჯეტით განერილი ხელფასები ისედაც ძალიან მაღალია ქვეყანაში მოქმედ საშუალო ხელფასთან შედარებით, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურად დაუცველთა შემოსავლებზე. დასაბუთებაც არ ჩანს, რისთვის არის საჭირო ხელფასების ზრდა. უკეთესი იქნებოდა, ხელფასებთან დაკავშირებით ქაბრების შემოჭრის პოლიტიკა შეემუშავებინათ. თუმცა 2016 წლის არჩევნებს ხელისუფლება ეჭვის თვალით არ უყურებს. ალბათ, თვლიან, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას მაინც მიიღებენ არჩევნებში. ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად მოახდინონ თავიანთი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამის სხვა ახსნა შეუძლებელია. მით უმეტეს, ვიმეორებ, ფინანსთა მინისტრსაც კი რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი, რისთვის არის ხელფასების ზრდა საჭირო, არ მოუტანია.

— ცენტრალური ხელისუფლებისთვის თანხის ზრდას ფინანსთა მინისტრი იმიტომ სწნის,

რომ ადგილობრივი თვითმმართველობებიდან სახანძრო და სამაშველო სამსახურების დაფინანსება გადმოდის ცენტრალურ ბიუჯეტში და, ასევე, 2016 წელი საარჩევნო წელია და, შესაბამისად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება იზრდება.

— ეს არ არის არგუმენტი, რომელიც გამართლებს სამაშველო და სახანძრო სამსახურების დაფინანსების ცენტრალურ ბიუჯეტში გადმოტანას. ის თანხა შეიძლება, ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც გადმოჰყვეს, ან თანხები გამოთავისუფლდეს.

„საქართველოს აქვს საჯარო თუ სახელმწიფო მოხელე პრესტიჟი“



რაც შეეხება საარჩევნო წელს, გასაგებია, 2016 საარჩევნო წელია, მაგრამ საქართველოში, პრაქტიკულად, ყოველი წელი თუ არა, მეორე წელი მაინც საარჩევნო წელია — ხან საპრეზიდენტო, ხან ადგილობრივი თვითმმართველობის, ხანაც საპარლამენტო არჩევნები ტარდება. ამიტომ ჯობს, სტაბილური თანხები მისცენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, წინასწარ ჰქონდეთ დაგროვილი ტექნიკური და მატერიალური მარაგი და არა მხოლოდ და მხოლოდ 2016 წლისთვის. ამ თანხების თანდათანობით გადანაწილება შეიძლება თუ არა 2016 წელს ოდნავ მომატებული ბიუჯეტი ექნებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

— ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლისა და გადასახადების მოზილევის ტენდენციის გათვალისწინებით, ნოდარ ხალაშის მინისტრთა კაბინეტისგან ითხოვს, 120 მილიონი ლარით გაზარდონ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების გეგმა. ეს თანხები ისევ ჩინოვნიკებს მოემატება?

— ხალხური სიხოვს პარლამენტს, გაითვალისწინოს საგადასახადო შემოსავლე-

ბის ნაწილში 120 მილიონი ლარით ზრდა. ეს ნორმალური სიტუაციაა, რადგან, თუკი ქვეყანა ვითარდება, საგადასახადო შემოსავლებიც დინამიურად მზარდი უნდა იყოს. მაგრამ ეს თუ ისევ ჩინოვნიკებისთვის მიიმატეს, მაშინ არანაირი ეფექტი არ ექნება. თუ გაზრდილი საგადასახადო შემოსავლები ინფრასტრუქტურისკენ, სოციალური სფეროსკენ და სხვა მატერიალური რესურსების შექმნისკენ მიიმართება, ეს მისასალმებელი იქნება. რაც უფრო გაიზრდება საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი არასაგადასახადო შემოსავლებთან მიმართებით, უკეთესია ქვეყნისთვის.

— საქართველოში 900-მდე საბიუჯეტო ორგანიზაციაა, სადაც 116 ათასამდე კაცია დასაქმებული და 9-მილიარდიანი ბიუჯეტიდან მათი ხელფასისთვის 15 მილიარ-

დი ლარი იხარჯება. რამდენად მაღალია ეს ციფრი თუნდაც იმავე 700 ათას პენსიონერთან მიმართებით, რომლებისთვისაც დაახლოებით ამდენივე თანხა იხარჯება?

— ესეც მახინჯი გამოკვლევაა, როცა ყველას გული სახელმწიფო და საჯარო სამსახურისკენ მიუწევს. როდესაც უნივერსიტეტდამთავრებულ პირს ალტერნატივა გაუჩნდება, კერძო საქმე დაიწყოს, თუ საჯარო სამსახურში შევიდეს, ყოველთვის საჯარო და სახელმწიფო სამსახურს ირჩევს, რადგან იქ ხელფასები მაღალია, პლუს დანამატები და პრემიებია. წამყვანი სპეციალისტის ხელფასი 1000-1200 ლარია. ქართველები ამბიციური ხალხი ვართ და ყველას ჩინოვნიკობა უნდა, ესეც იმის გამოვლინებაა, რომ საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. რასაკვირველია, არაადეკვატური 700 ათას პენსიონერზე იმდენი იხარჯებოდეს, რაც 116 ათას საჯარო მოხელეზე. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება, ვიღაცამ იფიქროს, რომ საუბარია ევროპის რომელიმე განვითარებულ ქვეყანაზე არ იაპონიაზე. სინამდვილეში, არ სჭირდება საქართველოს ამდენი საჯარო თუ სახელმწიფო მოხელე, მათი განახევრება ჩვეულებრივ დასაშვებია. ადგილობრივი თვითმმართველობებიც ხშირად შტატებს უმატებენ, რომ ვინმე დაასაქმონ. თუ ვინმე იტყვის, რომ საჯარო სამსახურებში შტატების დამატებით უმუშევრობა მცირდება, ეს არ არის რეალობა.

მანანა ნოზაძე

© აივორანდუმი გაფორმდა

ეს პრესენი ხელისუფლება საზოგადოებასთან ერთად უნდა გაიაროს

საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს მთავრობის მხრიდან ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ, მეორე მხრიდან კი, საქართველოს ეროვნული პლატფორმის ხელმძღვანელმა ლაშა ტულუშმა.

მემორანდუმი საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებას, კერძოდ, ასოციაციის შეთანხმების დადგენის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას ითვალისწინებს.

„საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერის მეორე უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა იმ პროცესში, რაც გულისხმობს ასოციაციის შეთანხმების დადგენას და შემდგომ მისი იმპლემენტაციის მონიტორინგს. ჩვენთვის თავიდანვე მკაფიო იყო, რომ ეს პროცესი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიაროს სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად თუნდაც იმიტომ, რომ თავიდან იქნას აცილებული ამ პროცესში ნებისმიერი ხარვეზი. ჩვენ ამაში ერთი ვართ, საერთო მიზანი გვაქვს, რომელიც ევროპული საქართველოს შენებას უკავშირდება“, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ. მთავრობასა და საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული დოკუმენტის მნიშვნელობაზე ისაუბრა ლაშა ტულუშმა.

„ეს მემორანდუმი განსაზღვრავს ბევრ მნიშვნელოვან საკითხს. მაგალითად იმას, მთავრობა იღებს ვალდებულებას, რომ როდესაც ჩვენი მხრიდან სხვადასხვა მიმართულებით პოლიტიკასთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებების წარდგენა მოხდება, ის განიხილოს და განიხილა მოხდეს სწორედ ჩვენთან ერთად. ასევე აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტი სექტორალური თანამშრომლობის თვალსაზრისით, ვინაიდან ამ კუთხითაც დიდი ვაკუუმი იყო. ჩვენ გვქონდა პრობლემები და ეს პრობლემები მოგვარდება. ყოველ შემთხვევაში ეს შეთანხმება კარგი სანაყისია იმისთვის, რომ ეს მოხდეს“, — აღნიშნა ლაშა ტულუშმა.

მეტროპრესი

© როგორ მოაგვრეს ხალხი

„საქართველოს ბანკის“ და კომპანია „მოდულის“ თაღლითური ბარიგებუ. მოსახლეობა ბინებს ქარბავს

სამშენებლო კომპანია „მოდულმა“ მოატყუა მოსახლეობა, არ შეასრულა თავის თავზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. კორპუსი (ქ. თბილისი: საბურთალოს რაიონი, დიდი დილომი, მირიან მეფის გამზირი №5), რომელიც 2008 წლის ზაფხულში უნდა დასრულებულიყო, სამშენებლო პროცესი წლებია შეჩერებულია. მოსახლეობის მხრიდან არაერთი მიმართვის მიუხედავად, კომპანიას არ შეუსრულებია არც ერთი დაპირება.

მეტიც, სამშენებლო კომპანია „მოდულის“ ინიციატივით 2008 წლის 23 დეკემბერს სს „საქართველოს ბანკში“ კორპუსი იპოთეკით დაიტვირთა მობინადრეებთან შეთანხმებულად. ასევე მას შემდეგ

გადავიხადოთ იპოთეკის თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში გვაფრთხილებენ, რომ დავკარგავთ ბინებს.

ბანკმა რამდენიმე დღის წინათ დაიწყო აღსრულების წესით ბინების გაყიდვა. ეს მიდგომა კი უგულებელყოფს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ბანკი უფლების ბოროტად გამოყენებით, არაკეთილსინდისიერად ახდენს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზებას.

მოგახსენებთ, რომ 2006 წელს სამშენებლო კომპანია შპს „მოდულმა“ დაიწყო კორპუსის მშენებლობის ხელშეკრულებების გა-

სამშუხაროდ, კომპანია აღმოჩნდა აბსოლუტურად უუნარო და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უმეტესობა არ შეასრულა. გარდა ამისა, აღმოჩნდით სიცოცხლისათვის საშიშრო კორპუსის მსხვერპლნი.

კორპუსის სახურავიდან ცვივა სხვადასხვა მასალა და არაერთხელ დაზიანდა მოსახლეობის ავტომობილები.

შენობის სადარბაზოებში არის ლიფტის შახტები, რომელშიც ლიფტი არ არის დამონტაჟებული. გარდა ამისა, შახტები ღია და მოსახლეობისთვის საშიშია.

ამასთანავე, კომპანიამ მობინადრეებზე თვითნებურად, უკანონოდ გაყიდა დიდი ზომის ლიფტის შახტის ტერიტორია, სადაც ყოველგვარი უსაფრთხოების წესების დაცვით მოხდა იატაკის დაგება, სათავსოდ გამოყენების მიზნით.

ფასადი გალესილია, მაგრამ ბინის ექსპლუატაციაში მიღება ვერ ხერხდება, რადგან არ არის შეღებილი, შესაბამისად დაუსრულებელ მდგომარეობაშია.

მიმდებარე ტერიტორია არ არის კეთილმოწყობილი და გაუმართავია კორპუსთან მისასვლელი გზა, მიტოვებული მშენებლობები საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მობინადრეების უსაფრთხოებას.

მოუწესრიგებელია კორპუსის ეზო. კორპუსის სადარბაზოები არ არის დასრულებულ მდგომარეობაში.

სამშენებლო კომპანიამ, მას შემდეგ, რაც მობინადრეების უმეტესობასთან დადებული ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულებები, არაერთგზის, თვითნებურად დადო სასესხო ხელშეკრულება ბანკთან. აღნიშნული შენობა არის იპოთეკით დატვირთული და რეალობიდან გამომდინარე, მობინადრეებს უხდებათ ამ კრედიტის თავად გადახდა, რათა ბანკმა მობინადრეების ფართი აღსრულების წესით გაეყიდოს. შენობა არ არის მიღებული ექსპლუატაციაში.

მოსახლეობა გთხოვთ, მოახდინოთ რეაგირება და გააშუქოთ აღნიშნული პრობლემა.

მობინადრეები
თამუნა ტყეშელაშვილი,
ზურა მიქვაბიშვილი,
გიორგი არსენიძე.

მობინადრეების საკონტაქტო გეოგრაფიები:
595 11 01 52,
591 70 28 50,
571 174050.

© „მშენებელი“

საქართველოში იმპორტირებული ჩაის დიდი წილი აზერბაიჯანზე მოდის

ნადღეულის მაღალი ხარისხი და კონსერვაციული ფასი ქართული ჩაის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს

ამის შესახებ ექსპორტის პოტენციალის მქონე 21 შრომითი ტერაგრამის ჩამონათვალია აღნიშნული. საქართველოში ჩაის წარმოების ისტორია 1848 წლიდან იწყება, როდესაც ოზურგეთში და სოხუმის პოტანიკურ ბაღში პირველი ნარგავები გაჩნდა. 1900 წელს ქართულმა ჩაიმ პარიზის გამოფენაზე საუკეთესო ხარისხის აღიარების ჯილდო მიიღო.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ამჟამად ჩაის პლანტაციები 19 ათას ჰექტარამდე ფართობზე შემორჩენილი, აქედან ექსპლუატაციაშია 2,4 ათას ჰექტარამდე, დანარჩენი 16,6 ათასი ჰექტარი გატყევებულია და ეკალბარდებითაა დაფარული, აქედან დაახლოებით 7,5 ათასი ჰექტარი რეაბილიტაციას ექვემდებარება.

ჩაის მწარმოებელი რეგიონები გურია, სამეგრელო, აჭარა და იმერეთია. საქართველოში, ჩაის კრეფის სეზონი ხელსაყრელი პირობების გამო 6 თვე გრძელდება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, საქართველოში 2010 წელს 3 500 ტონა, 2011 წელს – 2 900 ტონა, 2012 წელს 2 600 ტონა, ხოლო 2013 წელს 3 300 ტონა ჩაი აწარმოეს. სამეგრელოს რეგიონში წარმოებულმა ჩაის პროცენტულმა მაჩვენებელმა 55% შეადგინა, აჭარის რეგიონზე ჩაის მთლიანი წარმოების 33% მოდის, ხოლო გურიის რეგიონზე – 12%.

2014 წლის მონაცემებით, ჩაის საექსპორტო ბაზრები მონღოლეთი, თურქეთი, გერმანია და რუსეთი იყვნენ. 2014 წელს მონღოლეთში ჩაის ექსპორტმა 12%, თურქეთში – 34%, გერმანიაში – 18%, რუსეთში 8%, დანარჩენ ქვეყნებში კი – 28% შეადგინა.

რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყნებს, 2014 წელს იმპორტიორი ქვეყნები თურქეთი, ირანი, შრი-ლანკა და აზერბაიჯანი იყო. თურქეთიდან იმპორტირებულმა ჩაიმ 4%, ირანიდან – 6%, შრი-ლანკადან – 20%, აზერბაიჯანიდან – 37%, ხოლო დანარჩენი ქვეყნებიდან – 33% შეადგინა.

2012 წელს ჩაის იმპორტის თანხობრივი მაჩვენებელი 5815 ათასი აშშ დოლარი იყო მაშინ, როცა ამავე წლის ექსპორტის მაჩვენებელმა 2 458 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წელს იმპორტის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა და 7 039 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტი კი შემცირდა და მან 2 251 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტის გაზრდის ტენდენცია გაგრძელდა 2014 წელსაც: 2014 წელს იმპორტის მაჩვენებელი 8 573 ათასი აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტის მაჩვენებელი – 2 329 ათასი აშშ დოლარი იყო.

2014 წლის მონაცემების მიხედვით, ჩაის საცალო ფასი ბაზარზე 28 ლარიდან (1 კგ. ჩაის ფოთოლის ღირებულება) 31 ლარამდე მერყეობდა. ჩაის ფოთოლზე ყველაზე დაბალი ფასი იანვარში დაფიქსირდა და მან 28.0 ლარი შეადგინა, ხოლო ყველაზე მაღალი ფასი მარტში დაფიქსირდა: 1 კგ. ჩაის ფოთოლი 31.1 ლარი ღირდა.

ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც 2015 წლის იანვარ-თებერვალში არსებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული და პირობით გათვლებს ეყრდნობა, ჩაის შემთხვევაში ასე გამოიყურება: 1 ჰექტარ ფართობზე (პლანტაციის რეაბილიტაცია) საწყისი საინვესტიციო კაპიტალი 4 010 ლარია. უკუგების პერიოდი მე-5 წელია, ხოლო რენტაბელობის შიდა ნორმა (8 წელი) – 26%.

პრიორიტეტული პროდუქტების ნუსხაში ჩაის გარდა თხილის, მოცვის, ვაშლის, მანდარინის, ბლის, ატმის, ხურმის, პომიდვრის, ხაზვის, კიტრის, სტაფილოს, მწვანე ნილის, კარტოფილის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის, ღორის ხორცის, ფრინველის ხორცის, მტკნარი წყლის თევზის, რძის პროდუქტების, თავის და ხორბლის წარმოება მოხვდა.



კომპანიასა და ბანკს შორის გაფორმდა არაერთი იპოთეკური სესხი, რის შედეგადაც საერთო ვალმა 2 მილიონ ლარამდე შეადგინა!

დღესდღეობით „საქართველოს ბანკი“ იპოთეკის გადახდას ითხოვს... მოსახლეობისგან!!! მოსახლეობის მიერ „საქართველოს ბანკთან“ დაკავშირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბანკი არ იცვლის საკუთარ პოზიციას, არ მოდის არანაირ შეთანხმებაზე. იპოთეკის თანხა კი არარეალურად მაღალია. იპოთეკით დატვირთვა მოხდა სამშენებლო კომპანიის ინიციატივით, მობინადრეთა კანონიერ მესაკუთრეთა გაუფრთხილებლად, რაც არაკეთილსინდისიერებისა და კანონდარღვევის კითხვებს ბადებს.

კომპანიამ კი საერთოდ აირიდა თავიდან ყველანაირი პასუხისმგებლობა და ბანკს იპოთეკის თანხას უკან არ/ვერ უბრუნებს. მეტიც, კომპანია გვავალებულებს თავად

ფორმება მოსახლეობასთან, რომელშიც განერილი იყო, როგორც მყიდველისთვის, ასევე კომპანიისთვის დანესებული ვალდებულებები.

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების 5.1 პუნქტის თანახმად „გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ბინა შემდეგ მდგომარეობაში“.

1. შენობის ფასადი გალესილი და შეღებილი;
2. სადარბაზო გალესილი და შეღებილი;
3. კეთილმოწყობილი მიმდებარე ტერიტორია;
4. შენობამდე მიყვანილი ელექტროენერგია;
5. შენობაში დამონტაჟებული და ჩართული ლიფტები;
6. ტისრები ამოყვანილი, ბლოკით დამკვეთის სურვილისამებრ და სხვა;
7. შენობის ექსპლუატაციაში მიღების ბოლო ვადა 2008 წლის აგვისტო.

© ინფორმაცია

სენტრალურ მუნიციპალიტეტში აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა სტიქიამ შეაფერხა

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 206-ე კილომეტრზე, ინტენსიური წვიმების შედეგად მდინარე ჩხარას ადიდების გამო დაზიანებულ საგზაო მონაკვეთზე სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისა და დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოები გვიან ღამემდე მიმდინარეობდა.


გამთენიისას, ინტენსიური წვიმის ფონზე, მდინარე ჩხარა ისევ ადიდდა და დაზიანებულ მონაკვეთზე მიმდინარე სამუშაოები შეაფერხა. კერძოდ, ღამის განმავლობაში ჩალაგებული წყალგამტარი მილების წალეკვის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი გახდა მათი დემონტაჟი, შეფერხდა შედუღებების სამუშაოებიც. თავიდან

გადაირეცხა და დაიტბორა მიმდებარე ტერიტორია. გუშინ დილიდან დაიწყო განმეორებითი სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია და დაზიანებული მონაკვეთის აღდგენითი სამუშაოებიც განახლდა. კერძოდ, იშმინდება მდინარის კალაპოტი და თავიდან ეწყობა წყალგამტარი მილები. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს და ავტოტრანსპორტის მოძრაობა მაქსიმალურად მოკლე ვადებში იქნება აღდგენილი.

მოძრაობა გადართულია ზესტაფონი-ბაღდათი-ქუთაისის საავტომობილო გზაზე, ხოლო მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ინტერპრესი

„ცუდას რად უნდა მტერობა...“



1970 წლის ნოემბერია. ვალერი ასათიანი უკვე მეოთხე კურსის სტუდენტი და ლექციებიდან მობრუნებული, ქანცის განყვეტამდე მეცადინეობს სტუდენტალის ახალი ხუთსართულიანი კორპუსის ყველაზე პატარა 22-ე ოთახში.

ოთახში მხოლოდ ორნი ვცხოვრობთ. ეს დიდი ფუფუნებაა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა აკაკი ურუშაძემ „ჩაგვინყო“, თქვენ ფრიადოსანი ბიჭები ხართ, საზოგადოებრივ დავალებსაც კარგად ასრულებთ და სამოთხე კაცთან ერთად მეცადინეობა შესაძლოა გაგიჭირდეთო...

— ვალერი, ადგილს, სასაბუღალტრო დაიკავებ, კაკაო დავალით (სტუდენტალის სასაბუღალტრო ლამის 12 საათამდე მუშაობდა).

— ვერ ვასწრებ, შენ წადი, ორი ნაჭერი პური და ძხვები წამომიღე...

„გაბრაზებულმა“ კარი გამოვიჯახუნე და პირველ სართულზე დავეშვი. კორპუსის შემოსასვლელ კარებთან უცხო ქალები შევნიშნე. ხელში დიდი ჩანთები ეჭირათ და ჩვენს მეზობელ ოთახში მცხოვრებ გოგონებს ეძებდნენ...

— მართა, ელო, და მარიკა თქვენი ახლობლები არიან? — ახლობლები კი არა შვილები, შვილები, ავტობუსი გაფუჭდა და ძლივსაა ჩამოვალნიეთ...

შუახნის ქალები ოთახამდე მივაცილე და კარზე დავაკაკუნე. კარი მართა აზიკურმა გააღო და მაშინვე შეჰყვილა: დედა, ასე გვიან!..

სიხარულისგან ცრემლები წასკდა და დედამისს ჩაეთოწა. სხვებიც წამოიშალნენ და ჭეშმარიტად ნაწინანატრი ხვევნა-კოცნა გამართეს.

მე ათიოდე თვის წინათ მოულოდნელად გარდაცვლილი 55 წლის დედაჩემი გამახსენდა და ყელში სევდის ბურთი გამეჩხირა... გული გავიმაგრე და გოგონებს დედებთან ერთად ტკბილი ძილი ვუსურვე. სტუდენტალის სასაბუღალტრო ოთახში ჩავვედი, ძხვები და პური ისე ვიყიდე, უკან ისე ამოვბრუნდი, ხმა არავისთვის გამიცია. ვალერი ისევ თავჩაქინდრული იჯდა. ნაგვიანევი ვახშმისთვის მადლობა მითხრა და კითხვა განაგრძო.

— გოგონები დედებმა გაახარეს, — ვთქვი წყნარად.

— ვიცი, ხმაური მესმოდა რამდენიმე დღეში დედაჩემიც ჩამოვა, 15 ნოემბერს ოცი წლის ვხდები...

გონებაში კიდევ ერთხელ გამიცოცხლდა დედაჩემის დაკრძალვის დღე... ჩემთან და ჩემს 5 ძმასთან ერთად როგორ ტიროდა ვალერი ასათიანი, მისი კეთილი და ლამაზი დედიკო თინა კუხალაშვილი და ვაჟუკი მამა როსტომ ასათიანი.

თანაკურსელთაგან ყველა საოცრად განიცდიდა ჩემს უბედურებას, მაგრამ ვალერი მთელი დღე გვერდიდან არ მომცილებია, ცრემლიც არ შემორობია და სატრაპეზო სუფრასაც არ მიჰკარებია. **მაშინ ვიგრძენი, რომ მასთან გულწრფელი, უღალატო მეგობრობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი გამოცდა იქნებოდა... ამ 20 წლის ბიჭმა უკვე სხვანაირი მოფერება და თანადგომა იცოდა.**

* * *


ძირძველი ლექსზემელი, დერჩელი ვალერი ასათიანი 1950 წელს დაიბადა ქუთაისის მართლაც უღამაზეს უბანში — გაბაშვილის გორაზე. იქვე დაამთავრა მე-20 საშუალო სკოლა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარჩინებით განვლო ფილოლოგიის ფაკულტეტის სრული კურსი და დღემდე ერთგულად მუშაობს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიკისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მისი წიგნები და სტატიები ძირითადად ეხება ქართულ-ბერძნულ-ბიზანტიურ ურთიერთობებს. თანამედროვე ქართული კულტურის საკითხებს. ახლახან ვალერი ასათიანის ერთ-ერთი მთავარი წიგნის „ბიზანტიური ცივილიზაციის“ მეორე გამოცემა განხორციელდა. მისივე რედაქტორობით და შესანიშნავი წინასიტყვაობით გამოიცა 700-გვერდიანი ენციკლოპედიური ნაშრომი „სამცხე-ჯავახეთის და ტაო-კლარჯეთის“ ეპარქია“, რომელიც ჩვენი პატრიარქის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლის-

თავს ეძღვნება. ვალერი ასათიანი ხელმძღვანელობს ჩვენი დედაუნივერსიტეტის შთამბეჭდავ პროექტს Bizantino-Georgica — ბიზანტიოლოგიური ლექსიკონის“ რუსთაველის ფონდის ეგიდით გამოცემას.

მკითხველი მალე მიიღებს მეცნიერის ახალ წიგნებს — „კლასიკოსი“ (ეძღვნება გრიგოლ ფილიმონის ძე ნერეთლის ხსოვნას); „ანტიკური კულტურა და საქართველო“; „ანტიკური კულტურის საფუძვლები“; „ელინისტიკა და საქართველო“.

მარტოოდენ წიგნთა ჩამონათვალიც კი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ პროფესორი ვალერი ასათიანი ელიოლოგიის ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელია და მუხლჩაუხრელად აგრძელებს თავისი მასწავლებლების — სიმონ ყაუხჩიშვი-

„შენი ბორონით მეს გასულვარ გალმა ნაპირზე...“



ლის, გიორგი ახვლედიანის, აკაკი ურუშაძის, რის-მაგ გორდენიანის და სხვათა მრავალთა გაკვალულ გზას.

ორიოდე წლის წინათ ვალერი ასათიანმა თანამოაზრეებთან ერთად დააარსა საქართველოს ასოციაცია „კულტურათა დიალოგი — XXI“. მისი მიზანია სამეცნიერო-კულტურული პროექტების შემუშავება და განხორციელება. უკვე გამოიცა კრებული „ქართული კულტურა“, რომელიც გამოქვეყნდა „წიგნის კაცის“, ლიტერატურის მცოდნის და მკვლევარის ვახტანგ როდოსას ხსოვნას მიძღვნა. გამოიცა აგრეთვე მუსიკალური ალბომები — „გპი-ს“ პირველი ტრიო (ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, ჯემალ სუხიშვილი); „ალარა-სოდეს განმეორდები“ (მედეა ძიძიგური); ერთი თვის წინ გამოვიდა ვანიკო მაჭავარიანის ალბომი...

* * *

როგორც დაულავი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ვალერი ასათიანი ორგზის იყო საქართველოს კულტურის მინისტრი, ჯერ სოციალიზმის ეპოქაში — 1985-90 წლებში და მეორედ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში — 1995-2000 წ.წ.

მაშინ მოსწრებულად იხუმრა ლეგენდარულმა ბიძინა კვერნაძემ. შინ არ

ხარ მაღარი ასათიანი, შინ მაღარი პაპაროტიხარო.

1995-96 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო. ცოტა უფრო ადრე ხელმძღვანელობდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის აპარატს. 1984 წელს კი საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანიც გახლდათ.

* * *

„ცუდას რად უნდა მტერობაო“ და... ყოველგვარ შურზე მაღლა მდგარი, ცხოვრებასთან და მეცნიერებასთან ჭიდილში გამარჯვებული, ეროვნული და, რა თქმა უნდა, ევროპული ღირებულებებით მოაზროვნე კაცი ვალერი ასათიანი მიზანში ამოიღეს ნაციონალური ბოროტების ფუძემდებლებმა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართველთაგან მანიაკის მიხედვით სააკაშვილის ხელმძღვანელობით. **მტერს ვერ უსურვებ იმას, რაც მაშინ აუნერგელი ცილისწამებით, ზნეობრივი ტერორით, გამოკვეთილი სიტყვითმკველ-ლობით სანთელივით სუფთა პიროვნებას ვალერი ასათიანს მოუწყვეს. ნაციონალების პანდორას ყუთში (დღემდე „რუსთავი-2“ რომ ჰქვია!), ყოველგვარი ადამიანური ღირებულებებისგან დაცლილმა შხამიანმა ასპიტმა აკაკი გოგიჩაიშვილმა უგვანი ჯალათის მონდომებით შეასრულა „60 წუთის“ თანავტორთა დავალება...** მკითხველმა ეს საზარელი ფაქტი იცის და სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სანდო და სახელოვან მეგობრებშემოშენებულმა, სულით ძლიერმა ვალერი ასათიანმა ეს მოლაღატური შემოსევა სამართლებრივად მოიგერია და მთლიანად გამართლდა. სასამართლომ „ცრუსთავი-2“-ს ფულადი ჯარიმა და საქვეყნოდ ბოდიშის მოხდა დაავალა, თუმცაღა, 14 წელიწადი მიიღია და ნაციონალური ბოროტების ამ კანტორას ბოდიში არ მოუხდია!

აი, ასეთი დემოკრატიის და თავისუფალი სიტყვის მსახურია „ცრუსთავი-2“. აი, ასეთი ჟურნალისტები იბრძვიან დღეს „თავისუფალი სიტყვის დასაცავად“. ცინიზმი და მოქალაქეობრივი უზნეობა ამაზე შორს ვერ წავა.

დალახვროს ეშმაკმა, მაინც როდემდე უნდა გოგინოვდეს საქართველოში ძველადანი გარემოს — საბაპაშვილის, გვარამიას, გოგინიას, გაბუნიას, გაბაშვილის, ნიკოლაშვილის, გიგაშვილის, ხოშტარის, მაია ორჯონიძის, ჩიორა თაქთაქიშვილის, ხათუნა გოგორიშვილისა და სხვათა მრავალთა ცოდვილი სული?

ერთი კერძო, ანტისახალმწიფოებრივი, ტალე-ვიზია სანამ უნდა შხამავდეს ქართველი კაცის სულსა და გულს?

ეს არ არის ევროპული ღირებულებების დაცვა. ეს ჩვენი ერის აბუჩად აგდება და გადაგვარება!

* * *

ამ დღეებში ვალერი ასათიანი ცაგერში, ბარდნა-ლაში, ლადოობაზე, მშობლიური ლექსების საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, გუშინწინ კი ბაქოში გაემგზავრა. ვალერი ასათიანს აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საპატიო დოქტორად ირჩევენ. მისი მთავარი მასპინძელია აზერბაიჯანის კულტურის ყოფილი მინისტრი, ამჟამად აზერბაიჯანის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი რუსეთის ფედერაციაში, სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე ფოლად ბულბულ ოღლი... ფოლად ბულბულაშვილი მეგობარს დაბადების დღეს უხდის.

ჩვენმა სახალხო პოეტმა და ვალერი ასათიანის ძველმა მეგობარმა ჯანსუღ ჩარკვიანმა კი ასეთი ლექსი (კიდევ ერთი ლექსი) უძღვნა იუბილარს: **„შინ არ ეცადა, ბოროტი გზით რას არ ეცადა, შინ კი გოგინა იხი გახვეო, რომორც გინდა. ალარა ცნოაღი — ალარც შურს და ალარც პაპრიზებს, შინ ბორონით მის გამსულვარ გადმა ნაპირზე, სიტყვა „მამაკაცი“ სიხვარულით მინდა დავმარცვლო, არ გყავს გადალი, არცა ტოლი, არცა სანაცვლო. შინ შინი გზა და ზეციური გზა გაძვს ცნოვრების, და მი რომ წავალ, გვამდეს, იმაც მოგაფრებო“...**

მეც მუდამ მოგეფერები, საკუთარ შუბლზე მაღალ მოაო!..

საპრტაპ მოუვლია

ვალერი ასათიანი

ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვალერი ასათიანი

VALERI ASATIANI

BALERI ASATIANI

ΔΙΑΦΟΡΑ

კრებული

- ნაშრომები
- ნერილები
- Articles
- Архив

გულწრფელად მოგასაღებავით მოსკოვიდან. 16 ნოემბერს დიდებულ მსახიობს გიორგი შავგულიძეს 105 წელი შეუსრულდება. ამასთან დაკავშირებით, გიგზავნიტ ჩემს მოგონებას ამ შესანიშნავ პიროვნებაზე, იმით, რომ გადის წყალგაყვანილობა, მის პირადად შეხვედრები და მე და ჩემს მეგობარს გიორგის გაგზავნიტ მისთვის მცირე დახმარება ერთ-ერთი დიდიკატორ ვითარებაში. ღრმა პატივისცემით, სულიკო როგავა.

ერთი ამბავი მინდა მოგიხსნათ, რომლის მთავარ მოქმედ პირად, მისდა უნებლიეთ მოგვევლინა პოპულარული პიროვნება და დიდი მსახიობი. ეს იყო მისი ცხოვრების მეტად პატარა, შეუმჩნეველი ეპიზოდი, რომელიც შესაძლოა, ყოველ თბილისელ მამაკაცს შემთხვევით. საქმე იმაშია, რომ ვისზეც მინდა მოგიხსნათ, ის სხვას არ ჰგავდა, ყველასგან რაღაცით, ინდივიდუალური თვისებებით განსხვავდებოდა: — ვაჟკაცობით, ლამაზი სიარულით, ელევანტური მისრა-მოსხრით, განუმეორებელი გამოსხედივით, ღიმილითა და შესანიშნავი იუმორით.... ამ ყველაფერს, როგორც დღეს ფრანგულ სიტყვას მოიშველიებენ, თავისი განსაკუთრებული შარმი ჰქონდა. ერთი სიტყვით, მეტად ქარიზმული პიროვნება იყო. ჩემს ბავშვობაში რამდენჯერმე შემთხვევით შეხვედრივარ ამ დიდებულ მსახიობს პლესანოვზე (მისი „ბედისწერის გამზირზე“), კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობასთან, რადგან, როდესაც სკოლაში მივდიოდი ან უკან ვბრუნდებოდი, აუცილებლად უნდა გამეგლო ამ შენობასთან. როგორც ბავშვებს სჩვევიათ, მეც გაშტერებული თვალებით, დიდი ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი მას, რომელმაც თითქოს აი ახლა გადმოაბიჯა ეკრანიდან და ჩვენთან ერთად ქუჩაში მოსიარულედ მოგვევლინა დიდი მამულიშვილის და პოეტის დავით გურამიშვილის სახით, ან სულ სხვა პერსონაჟის — კინტო ნიკოს სახით „ქეთო და კოტედიან“. სწორი ბრძანდებით! ეს პიროვნება გახლდათ ქართველი ერის საამაყო შვილი, დიდი მსახიობი **გიორგი შავგულიძე, რომელსაც ამა წლის 16 ნოემბერს 105 წელი შეუსრულდება.**

გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, მასსოვს ბატონი გიორგი თეატრის სცენაზეც, მასთან ერთად, რასაკვირველია, მარჯანიშვილის თეატრის ყველა დიდებული მსახიობი (არ ვიცი, რომელი ერთი დავასახელო). იმ პერიოდში, მაშინვე, რესპუბლიკის დაცვისა და უშიშროების ორგანოს უფროსი ოფიცერს (მამა შენაძნავად ხატავდა, იყო თვითნასწავლი მხატვარი და თეატრალიც) როგორც ოთხი შვილის მამას, უფასოდ აძლევდნენ ორ ან მეტ „კონტრამარკის“ მაგვარ ბილეთს, თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებად. ომის შემდგომ, ქვეყნის იმ ისტორიულ მონაკვეთზე ეს ჩვენი, მრავალშვილიანი ოჯახისთვის და ჩვენითვის, „ომის ბავშვებისათვის“ ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო. სპექტაკლებს ვესწრებოდით მშობლებთან ერთად და მათ გარეშეც. ამით დაიწყო ჩვენი თეატრით გატაცება და მსახიობების მიმართ სიყვარულის გამოხატვა.

ეს, „პატარა“ ეპიზოდი“, რომელზეც მინდა მოგიხსნათ, არ არის დაკავშირებული ბატონი გიორგის პროფესიულ საქმიანობასთან. მიუხედავად ამისა, ეს ჩემი გახსენება, მინდა გადავცე თაობას წარსულის თბილი მოგონების სახით.

50-იანი წლების დასაწყისში გატაცებული ვიყავი წყალბურთით. 1953 წელს საქართველოს ნაკრები გულმოდგინედ ემზადებოდა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის, რომელიც ჩატარდა უკრაინის ქალაქ ლვოვში. ვვარჯიშობდით საცურაო აუზში, რომელიც ჯერ კიდევ 1936 წ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე იყო აშენებული, დღევანდელი საცურაო აუზის „ლაგუნა ვერეს“ მოპირდაპირე მხარეს. 1953 წლის ზაფხულში თბილისში ძალიან ცხელოდა. ასეთი ტემპერატურული ანომალია არაა თბილისისთვის იშვიათი მოვლენა. ჩვენ, წყალბურთელები, ამას ვერ ვგრძნობდით, ვინაიდან დღეში ორჯერ, მტკვრის წყლით ავსებულ საცურაო აუზში ვვარჯიშობდით. ქალაქის მცხოვრებლები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა სიცხისაგან თავს აფარებდა ლისის და კუს ტბებს, ახალშექმნილ თბილისის ზღვას, ბევრი კი, მათ შორის, მოზრდილებიც მტკვარს სტუმრობდნენ.

ერთ დღეს, დილის ვარჯიშის შემდეგ მე და ჩემი თანაგუნდელი და თანაკლასელი გივი გაგუა ვარჯიშიდან ერთად ვბრუნდებო-



უზუალო შეხება წარსულთან

დით (მაშინ გუნდში სამი — გივი გაგუა, ირაკლი ჩხიკვაძე და მე ვაჟთა მე-12 სკოლის მოსწავლეები ვიყავით). როგორც ყოველთვის, ჩელუსკინელების სახელობის ხიდისკენ მე და გივი სანაპიროს გასწვრივ, ბილიკით „მოკლზე“ გადავდით, თითქმის ხიდის ძირამდე მივედით. იქიდან კი, ციცაბო ბილიკით ჩელუსკინელების ხიდზე უნდა ავსულიყავით. მაშინ, როგორც ასეთი, სანაპირო არ იყო, მისი ჯებრივები შენდებოდა ნაწილ-ნაწილ, ფრაგმენტებად. სწორედ ხიდის ქვეშ

ვიცანიტ და დასახმარებლად მივედით. ხმის ამოღებაც ვერ მოვასწარიტ, რომ ის თვითონ დაგველაპარაკა. სამწუხაროდ, ზუსტად ვერ გადმოგცემტ ბატონი გიორგის მონოლოგს, ასე თუ ისე, უკვე ექვსი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ. საუბრის შინაარსი კი დაახლოებით ასეთი იყო: — ხომ ხედავტ რა ხდება, ქვეყანა სიცხისაგან იწვის. ვიფიქრე, ცოტა სულს მოვიტქვამ-მეთქი წყალში. ტანსაცმელი აი ამ ქვაზე დავაწყვე. ხელიტ მიგვანიშნა ლოდზე, რომელზეც თვითონ იდგა: — შევედი წყალში, — განაგრძო ლაპარაკი ბატონმა გიორგიმ, — სულ რაღაც 10-15 წუთი თუ ვიცურავე, შვება ვიგრძენი, ამოვედი წყლიდან და ტანსაცმლის ნაცვლად აი ეს ცარიელი ლოდი შემრჩა ხელში. მთელი სიამოვნება ჩამაშხამეს ამ... და გააგრძელა: — თუ პატივს დამდებტ, აგერ, „თერთმეტსართულიანში“ ვცხოვრობტ, დაგვისახელა სართული და ბინის ნომერი, მიდით და რამე ტანსაცმელი ჩამომიტანეთ. — ახლავე, გიორგი ბიძა! თითქმის ერთად წამოვიძახეთ მე და გივიმ. სიამოვნება დაეტყო სახეზე: — მიცანტ? რა გვეტქმოდა, შევიშმუშნეთ. ჩვენი სპორტული ჩანტები იქვე ქვაზე დავაწყვეტ და თითქმის სირბილიტ ავედით ხიდზე, ასევე სირბილიტ გაავარძელეთ გზა. არ ვიცი, გივი რას ფიქრობდა ამ დროს, ალბათ, იმავეს, რასაც მე. მე კი ცვდილობდტ, მალე დაგვემტავრებინა ეს „ოპერაცია“ იმიტომ,

რომ სული არ მითმენდა, სანამ სახლში მივიდოდი და ტრახახით, ცოტა მიმატებ-მომატებით ყველაფერ ამას სიამაყის გრძნობით მოვუყვებოდი ჩვენი ეზოს მცხოვრებლებს. ოცნებით გართულმა ვერც კი შევამჩნიე, რომ გივი უკვე საჭირო კარზე აკაკუნებდა. კარი გაგვიღო ახალგაზრდა ქალმა... მოგვიანებით გავიგე, რომ ქალბატონი ელი საბედ (ლიზიკო) ვაჩნაძე იყო ბატონი გიორგის მეუღლე და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შესანიშნავი მსახიობი...



ესარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდი სიყვარულიტ მოვიგონო ჩემი თანაგუნდელები, რომლებიც მაშინ, 1953 წელს ლვოვში ქაბუკების საბჭოთა კავშირის პირველობაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას ვიცავდით: მარცხენიდან: იურა სისხარულიძე (ამჟამად აკადემიკოსი), ლეონ შიხიკიანი, ირაკლი ჩხიკვაძე, ვიქტორ რომანოვი, სულიკო როგავა, გივი გაგუა, ანატოლი ბელოზიოროვი.

სანაპიროს მოზრდილი ტერიტორია ჯებორის გარეშე იყო დარჩენილი და მდინარის წყლიტ იმდენად იყო შევსებული, რომ საკმაოდ დიდ საჭყუმპალაოდ გადაიქცა და თანაც მტკვარში გასასვლელ „მინი სრუტეს“ წაგავდა. ხალხი სარგებლობდა ამ ბუნების ნაწყალობევი „პლაჟიტ“. სანამ ნახსენებ „პლაჟს“ მიუთახლოვდებოდით, ლოდზე შემდგარი კაცი შევნიშნეთ. მისი აღნაგობის აღსაწერად ერის საამაყო ქალბატონ ვერიკო ანჯაფარიძის სიტყვებს მოვიშველიებ: „შესანიშნავად ჩამოქნილი, ლამაზი ტანი, დიდი ოსტატის ხელიტ გამოქნილი ქანდაკების მსგავსი“. მანძილი ჩვენს შორის დიდი იყო და ამიტომ არ გვესმოდა მისი აღმფოთებულო სიტყვები, იგრძნობოდა, რომ რაღაც უსიამოვნება შეემთხვა. თანდათან რომ მიუთახლოვდით, მე მაშინვე ვიცანი ის და გივის გადაუჭურჩულე: — ბიჭო, გივი, შეხედე, ეს ხომ გიორგი შავგულიძეა! გივი უყოყმანოდ დამეთანხმა და ორივემ ფეხს ავუჩქარეთ. რამდენიმე წამში მის გვერდით აღმოვჩნდით. ბატონი გიორგი მხედა, რომ ჩვენ ის

არც ვაციტ, არც ვაცხელეთ და პირდაპირ მივახალეთ: — გიორგი ბიძისა მტკვარზე... სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარიტ, რომ მტკვრის გაგონებაზე ქალმა შეჰკივლა... მივხედე, რაც გაიფიქრა მეუღლემ და კივილი არ ვაცალე, თითქმის ყვირილიტ დავსამთვრე დანწყებული ლაპარაკი: — ტანსაცმელი მოჰპარეს!

ქალბატონი ლიზა იმ წამსვე გარდაიქმნა. აი, რა არის მსახიობის პროფესია. ყველაფერი ვერ გავიხსენებ და ამიტომ ვერც გადმოგცემტ ქალბატონის მიერ ემოციურად ნათქვამ სიტყვებს, როგორც სჩვევიათ ეს ქალებს, მაგრამ ერთი ფრაზა კი ჩამრჩა მესიერებაში, რადგან ქალბატონმა ლიზამ თითქმის შეუცვლელად, სიტყვასიტყვით გაიმეორა ის, რასაც ჩემი გამზრდელი სენაკელი ნინუცა ბებია, როდესაც მე პატარაობისას გადამეტებულ ცელქობას ჩავდიოდი, სასწაურკვეთილი ვედრებით წამოიძახებდა ხოლმე: „ღმერთო მიშველე! ეს ბავშვი, ალბათ, თავის ლოგინში არ მოკვდებაო!“. ქალბატონმა ლიზამ გამოგვიტანა ტანისამო-

სი და თვალცრემლმორეულმა თითქოს შემოგვჩივლა: — ვერ მეტყვით ყმანცილებო, როდის გამოვა ეს კაცი ბავშვობის ასაკიდან? მაშინ არ ვიცოდი და ვერ ვუპასუხე, დღეს კი შემძლიო ვთქვა, რომ რიონზე გაზრდილი ჟორა, რომელმაც მდინარეში დახრწობას გადაარჩინა ბავშვი, წყლიდან ამოსული, მისი მამაცობით და ათლეტური აღნაგობით განცვიფრებულ დიდ კოტე მარჯანიშვილს შერჩა ხელში. ტკბილი ქუთაისიდან, სწორედ რიონის წყლიდან იწყება ჟორჟიკა (ასე მას მხოლოდ უშანგი ჩხეიძე მითართავდა თურმე) შავგულიძის, დიდი მსახიობის აღმავლობის და მისი და ქალბატონი ლიზა ვაჩნაძის სიყვარულის ამბავი. მეტად დამონებულ და თითქმის სასწაურკვეთილებამდე მიწულ ლიზიკოს, ალბათ, მედველობიდან გაშორჩა ის, რომ რიონისპირელი გიორგისთვის სიჭაბუკე უკვდავი იყო.

ბატონ გიორგის ტანსაცმელი მივუტანეთ. გაუკვირდა, ასე სწრაფად რომ შევასრულეთ თხოვნა. ხომ არ გავუმხელდით, რომ სულ სირბილიტ გავიარეთ ეს მანძილი. მან დიდი მადლობა გადაგვიხადა, შეგვაქო, ორივეს მამაშვილურად მსრებზე ხელი დავავადო და გულწრფელად მოგვეფერა, შემდეგ კი ხელის ჩამორტმევეტ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით იმ ჯილდოში, რომელიც ბედმა გვარგუნა, თვით უფალმა გიორგი შავგულიძეს შეგვასხედრა და მოგვცა საშუალება, მცირე დახმარებაც გავვენია მისთვის. საამაყოდ და სატრახახოდ ესეც მეტვე მეტი იყო, რაც ჩემთვის დღემდე დარჩა.

ამიტ შემძლია დავამთავრო თხრობა. თუმცა არა. აქ კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს ჰქონდა ადგილი. მიძნელება, როგორ ჩამოვაცალიბო, ან ზუსტად როგორ განვმართო და რას მივანერო ამ შემთხვევის ეს ფრაგმენტი: — ფსიქოლოგიურს თუ მორალურ-ზნეობრივს? სინდის-ნამუსობრივს თუ ხალხის სიყვარულიტ ამოქარგულს?

გამოცვდით თუ არა ბატონ გიორგის და ხიდისკენ ამავალ აღმართს მივადექით, მოულოდნელად ორმა, ჩვენზე მოზრდილმა ბიჭმა გზა გადაგვიღობა. ერთმა მათგანმა მკითხა: თქვენ იმ კაცს იცნობტ? არ დაელოდა ჩვენს პასუხს და გაავარძელა, — მე და ჩემი ძმაკაცი „ვსპორობტ“ ის კაცი, ჟორა შავგულიძეა თუ არა? მე არ დავაცალე და რატომღაც ხმამაღლა ვუპასუხე: — დიახ, ის ბატონი გიორგია! შავგულიძეა! ხომ გინახავტ „ქეთო და კოტე“! — ვიცი, ვიცი, ნუ ყვირიხარ, კინტოს გარდა, სხვა როლებშიც გვინახავს, გაავარძელა ლაპარაკი პირველმა, თანაც მხარზე ხელი გადამხვია და დაამატა, — ძმაკაც, მიდით ჟორასთან და გადავცით, ხუტ წუთში მასთან ბიჭი მივა, ტანსაცმელს და ყველაფერს უკან დაუბრუნებს. მეორემ დაუმატა, — ოღონდ ძალიან ვთხოვ, არ „იშუსუროს“. თქვენ კი, როგორც კი გადასცემტ, რაც დაგაბარეთ, უკანვე დაბრუნდით. ჩვენ მაშინვე გავვარდით ბატონ გიორგისთან, ის უკვე თითქმის ჩაცმული დაგვხვდა და დანაბარები გადავცით. ბატონ გიორგის ჩაეცინა. ხომ გახსოვტ მისი ჩაცივნება? კიდევ გადაგვიხადა მაღლობა და გვითხრა: — კარგი, წადით ბიჭებო, წადით. ღმერთმა ყველაფერში ხელი მოგიმართო. არ მახსოვს, რა სიჩქარით ავევრდით ციცაბო ბილიკზე და აღმოვჩნდით ხიდზე, საიდანაც ყველაფერი ხელისგულიტ ჩანდა. იმ ბიჭებმა თავიანთი სიტყვა შეასრულეს.

პატარა ბიჭუნას ბატონმა გიორგიმ ლამაზ ქოჩორზე ხელი გადაუსვა და რაღაც უთხრა, ნათქვამი ჩვენ ვერ გავიგეთ. ბიჭუნამ ჯერ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მერე მორცხვდა, თითქოს დამნაშავე ვარო, თავი დახარა და ქეჩო მოიფხანა...

არ ვიცი, რით აფხსნა ქურდების ასეთი მოქცევა. ალბათ, იმიტ, რომ ბატონი გიორგი მართლაც, არა მარტო მსახიობი იყო, არამედ ხალხისთვის ნამდვილად საყვარელი პიროვნება გახლდათ. ქურდებმა, ალბათ, იფიქრეს, რომ ამ საქციელს მათ უფალი არ აპატიებდა და სასწრაფოდ გადანყვიტეს, ასეთი ფორმით გამოეხატათ „მონანიება“.

ვალერიან (სულიკო) როგავა, სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სუოჭიშვილი, საკავშირო შსს და მისი აკადემიის, სპორტკომიტეტის, „დინამოს“, საქართველოს და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტების საპატიო ნიშნის კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი

© „ოზლის ცრემლივით ცაზე გაბრუნალი“

მანძან მეთერთმეტე წელიწადია, მეთერთმეტე კეცავს აღმართებს, იმ აღმართებს, მაღალმთიან სამეგრელოში, უფრო ზუსტად კი ჩხორონწყუს რაიონის სოფელ მუხურში რომ მივყავართ. გზა შორია და ფიქრისთვის, განსჯისთვის უამრავი დრო მაქვს. მეთერთმეტე წელიწადი ლაშა გახარის გარეშე... მეთერთმეტე წელიწადი ლაშას პოეზიის საქვეყნო აღიარებისა... გამუდმებით ვფიქრობ, ასეთი ლექსების პატრონს, რატომ არ სურდა, წიგნში თავმოყრილი ეხილა არაჩვეულებრივი პოეზია და პასუხად, იქვე, მისი დაუდევარი ხასიათი მახსენდება. კიდევ კარგი, რომ გვერდით მეუღლე — როზა ბერიკაშვილი ჰყავდა, რომლის უზარმაზარი მონდომებით ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე მოხერხდა ორი წიგნის „მუხის საუზის“ და „99 და ერთი“ დასტამბვა...


ლაშა უკვე საქვეყნოდ აღიარებული პოეტია. მისი ლექსები უამრავმა ადამიანმა იცის ზეპირად და კიდევ უამრავი დაიზეპირებს...

დიდი ზეიმი ჩხორონწყუში. მთელი რაიონი აღნიშნავს ჩხორონწყუბას, მაგრამ ამ ზეიმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ლაშა გახარის სახელს უკავშირდება. დღეს, სოფელ მუხურში, პოეტის სახლ-მუზეუმი იხსნება.

ამ რამდენიმე წლის წინათ პოეტის მეუღლესთან ერთად ჩხორონწყუს ვეწვიე. რაიონი მაშინაც ზეიმობდა ჩხორონწყუობას და იქ, რაიონის ახალგაზრდა გამგებელმა **დავით გოგუამ** საჯაროდ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებდა იმისთვის, რომ საქართველოს ლაშა გახარის სახლ-მუზეუმი ჰქონოდა. თქვა და სიტყვა საქმედ აქცია. კეთილმოწყობილი

ბილი გზა დღეს დაუბრკოლებლად მიგიყვანთ პოეტის სახლ-მუზეუმთან, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეუნარჩუნდა ძველი იერ-სახიდან, მაგრამ დაიშალა, გადმოვიდა გზისპირას და გარემონტდა საფუძვლიანად. სხვათა შორის, პოეტის ოცნება იყო, რომ ეს ოდა იმ ადგილას მდგარიყო, სადაც ამჟამად დგას. სამწუხაროა, რომ ეს ოცნება მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ ახდა.

შთამბეჭდავი იყო ჩხორონწყუს რაიონის მოსწავლეების მიერ წაკითხული პოეტის ლექსები, რომელიც ულამაზეს სტრიქონებად, სტროფებად, მეტაფორებად ედებოდა გარემოს. ღონისძიებას ჩხორონწყუს მუზეუმის დირექტორი ნაირა ციმიშვილი უძღვებოდა. სიტყვით გარემოცნენ რაიონის გამგებელი **დავით გოგუა**, სპორტული ჟურნალისტი და ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, ჟურნალის-



ლაშა გახარია

ქართულ პოეზიაში
მოგარდნილი გრიგალი!

მეგობრების უკვდავებისთვის გაბვიმეტა...

ლაშა გახარიას
სახლ-მუზეუმი მუხურში

ტი **გვანუა მანია**, ლაშა გახარიას პოეტური კრებულების რედაქტორი, პოეტი **ლია ნაროშვილი**, **როზა ბერიკაშვილი** (აივანზე მდგარი თვალზე ცრემლს ვერ იკავებდა და ალბათ, ყველაზე ბედნიერი იქნებოდა, რომ მისი სახელოვანი მე-

უღლე გვერდით ჰყოლოდა), პოეტები **იკა ქადაგიძე**, **ლაშა გვასალია**, **მარინა თეთუმანიძე**, ექიმი და პოეტი **მერაბ კვიცაძე**, ახალგაზრდა პოეტმა **ოთო ფალიაშვილმა** ლაშას ლექსები წაიკითხა. იმ დღეს დამსწრე საზოგადოებას ახალი წიგნი



ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი



ელგუჯა ბერიშვილი, მარინა თეთუმანიძე, როზა ბერიკაშვილი, გიგლა გოგუა მუხურში



მუხურის დამთავრებულები

© ენა ჩვენი, ქართული

ინსტიტუსიური თუ ინსტიტუსიონალური რეფორმა?

ნატალი ნერხი, ოდონ უფრო მოკლე გზით შეგვცდებით, გავარკვიოთ, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სად და როდის უნდა ვისმართო ინსტიტუციური და ინსტიტუციონალური კატეგორიები, რომელთა აღრევას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, მეტადრე ოფიციალურ დოკუმენტებში.

მაშ, ასე, გვაქვს სიტყვა ინსტიტუციონალიზაცია (институционализация) (საწყისი ფორმა ტერმინი „ინსტიტუციონალიზმი“, რომელიც 1916 წელს პირველად გამოიყენა ამერიკელმა ეკონომისტმა უ. ჰამილტონმა). იგი გამოხატავს საიმიო მოქმედებას, რომ დაარსდეს ახალი საზოგადოებრივი ინსტიტუტი; მოხდეს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი და საორგანიზაციო დამკვიდრება. მოცემული კატეგორია საგან წარმოებული ზედსართავი კი იქნება **ინსტიტუციონალური**. ამ ფორმას გვიდასტურებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შემზადებული და 2002 წელს გამოცემული „ჟურნალისტიკის სტილისტიკური ცნობარი“.

რაც შეეხება **ინსტიტუციურს**, იგი სულ სხვა ცნების გამოხატულებაა. მას საფუძვლად უდევს ლათინური სიტყვა *instituciones* (სიტყვასიტყვით — დარიგებანი) — ინ-

სტიტუციები. ასე ჰქვია რომაელ იურისტთა ელემენტარულ სახელმძღვანელოებს, რომლებიც შეიცავენ მოქმედი, ძირითადად, კერძო სამართლის სისტემატურ მიმოხილვას. მე-2 საუკუნის რომაელი იურისტის გაიუსის აზრით, ყოველი სამართალი ეხება ან პირებს, ან ნივთებს (მათ შორის ვალდებულებებსაც), ან სარჩელებს. მასალის გადმოცემის ასეთ სისტემას **ინსტიტუციური** ეწოდება. აქვე ვიტყვით, რომ ასეთი სისტემა ერთობ ფართოდ იყო გავრცელებული უცხო სახელმწიფოებში. მაგალითად, მისი პრინციპები საფუძვლად დაედო საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსს — ეგრეთ წოდებულ ნაპოლეონის კოდექსს.

გარდა ამისა, ეს ფორმა გვხვდება ისეთ მყარ შესიტყვებებში, როგორიც არის, მაგალითად, ინსტიტუციური არბიტრაჟი — მუდმივ მოქმედი სამედიაციო (შუამავლის) სასამართლო, ინსტიტუციური ეკონომიკა და სხვ. (იხ. EC, მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, „იურიდიული ტერმინოლოგია“).

მაშასადამე, ჩვენს პრაქტიკაში, თუ საქმე ეხება შესაბამის ვინროსპეციალურ ლიტერატურას, უნდა ვისმართო **ინსტიტუციონალური**, და მაშინ გვექნება არა **ინსტიტუციური**, არამედ **ინსტიტუციონალური** რეფორმა...

ოთარ კაპანაძე



© კონფერენცია

თავზე ხელაღებულ მკოლთა მიერ შენიშნული სისოცხლე

სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, გაეროს წარმომადგენლობა საქართველოში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ორგანიზაცია „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულთა და დაშავებულთა ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონფერენციას გამართავენ.

ნოემბრის მესამე კვირა ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულთა და დაშავებულთა საერთაშორისო დღეა, რომელიც გაერომ ოფიციალურად 2005 წელს გამოაცხადა და მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება.

ღონისძიების მიზანია საზოგადოებისა და ხელისუფლების ინფორმირება საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე და გადაჭრის გზების ძიება; ასევე, არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საზოგადოების სხვადასხვა სექტორის მობილიზება, რათა გადავდგათ ნაბიჯები ამ მიმართულებით და ერთობლივი ძალისხმევით თავიდან ავიცილოთ ავტოკატასტროფით გამოწვეული ფატალური შედეგები.

ორგანიზაცია მცირე სტატისტიკასაც აქვეყნებს: 19-25 წლამდე ასაკი ახალგაზრდებში ავტოკატასტროფების №1 მკვლელობა მსოფლიოში;

ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებით, საქართველოს გზებზე გარდაცვლილთა და დაშავებულთა რაოდენობა გაცილებით მაღალია: 100,000 ადამიანზე საქართველოში 11,5 ადამიანი იღუპება, ევროკავშირის ქვეყნების ავტოკატასტროფებში დაღუპულთა რაოდენობა კი, დაახლოებით, 6 ადამიანია;

საქართველოში — მხოლოდ გასული 1 წლის — 2014 წლის — განმავლობაში 514 ადამიანი დაიღუპა და 8, 536 ადამიანი დაშავდა.



რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საბარტემელო, რომელიც განსაკუთრებით არასოდეს გამოირჩეოდა პოლიტიკური სტაბილურობით, ამჯერად კიდევ ერთხელ ჩაითრიეს უნესრიგობათა ქსელში. ბრალდებანი სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში, პარტიებს შორის ბრძოლის გამკაცრების ტალღა – რუსული ურთიერთობების ქვეშ – ქმნიან ცუდ წინათგრძნობებს. პოლიტიკური კრიზისის შექმნაში ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განადგურების მიზნით მიღებული ბრალდებებიც მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ მხრიდან. ეს აზრი, როგორც ჩანს ადასტურებს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ამასწინანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ – „არ აქვს უფლება, დარჩეს პოლიტიკაში“, და სახელმწიფოს მიერ ინიცირებული დე-

ოქტომბერში რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ვლადისლავ სურკოვი იყო საქართველოს სეპარატისტულ რეგიონ სამხრეთ ოსეთში“, რომელსაც მოსკოვი უჭერს მხარს. რეგიონის დე ფაქტო მთავრობამ განაცხადა თავისი გეგმების შესახებ – მოაწყო რეფერენდუმი რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ, რამაც საერთაშორისო გაურკვევლობის აფეთქება გამოიწვია. რუსეთის მიერ ტერიტორიის მორიგი ნაწილის შთანთქმის პერსპექტივა ბევრისთვის მიმზიდველი როლი აღმოჩნდა... ამ დროს სამხრეთი ოსეთის მიერთებას მოსკოვისთვის არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა... სურკოვსა და კრემლსაც კი ნაკლებად აინტერესებთ სამხრეთი ოსეთის პრეტენზიები თვითგამორკვევაზე. ადრეც სამხრე-

ბით. პროტესტები იზრდება, და თბილისის სამოქალაქო საზოგადოება განგაშს სტეხს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლების დათრგუნვის გამო. ამ დროს, მიმდინარე დომხალის პირობებში, ყველამ დაივიწყა რუსეთის ფარული როლი. არადა, პოლიტიკური ბრძოლა საქართველოში ხელსაყრელია, უწინარეს ყოვლისა, რუსეთისა და მის მიერ მხარდაჭერილი ადგილობრივი ხალხისათვის. ამას ადასტურებს გამოკითხვებიც. უკანასკნელი მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მოსალოდნელი ხმების პროცენტები ორ ათეულზე მეტად ზევით ვერ იწევა. „ოცნებისათვის“ ეს ნიშნავს პოპულარობის მკვეთრ დაცემას, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ 2013 წელს ამ პარტიას, რომელმაც პრეზიდენტად მარგველაშვილი დაასახელა, ხმა მისცა მოსახლეობის 60-ზე მეტმა პროცენტმა. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი უჩვენა თავისი უუნარობა – გამოიყენოს „ქართული ოცნებისადმი“ მზარდი უკმაყოფილობა თავის სასარგებლოდ, ალბათ, მისი წარსულისადმი საზოგადოების აღშფოთების გამო.

ამ დროს უკანასკნელ წლებში პოლიტიკური კულუარებიდან გაჩნდა პარტიების წრე, რომლებიც აშკარად გამოხატავენ რუსეთის მხარდაჭერას და დასავლეთისადმი მიუღებლობის გრძნობას. ისინი გამოირჩევიან სულ უფრო და უფრო მეტი პოლიტიკური კონსერვტიზმით, მათ 2014 წელს საერთო ეროვნული არჩევნების დროს დაპაროვნის ხმების თითქმის 15 პროცენტი და მიიღეს მასობრივი და თავისდროული დაფინანსება. ნინო ბურჯანაძე, რომლის კოალიციაც „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ სულ უფრო მეტად ესმიალება კრემლის „ეგრაზიულ“ იდეოლოგიას, სწორედ ჩადის მოსკოვში რუსეთის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებისათვის – ეს პატარა ქვეყნის ოპოზიციის ლიდერისათვის უნახავი ღირსებაა. ანტიდასავლური „პატრიოტების ალიანსის“ მეთაველად კი, როგორც ცნობილი გახდა, უკანასკნელ ხანებში ღებულვლას არჩევნულებრივად მაღალ შემოსავლას რეკლამისაგან უწყობი წყაროებიდან, რომლებსაც შეიძლება ურთიერთობა მქონდეთ სხვადასხვა რუსულ შუამავლებთან.

გაზაფხულზე ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევამ აჩვენა, რომ ქართველების დაახლოებით 31 პროცენტი მხარს უჭერს მათი ქვეყნის შესვლას რუსეთის ხელმძღვანელობით არსებულ ევრაზიულ კავშირში, და არა ევროკავშირში წევრობას – ეს არის მაჩვენებელი, რომელიც კვლავ იზრდება იმის შესაბამისად, თუ ჩვეულებრივი ქართველები როგორ კარგავენ ინტერესს ევროატლანტიკური მისწრაფებისადმი.

რუსეთის როლი ქართულ პოლიტიკურ კრიზისში არ უნდა დაეამცირათ. მოსკოვი იქნეს მახვილს სამხრეთ ოსეთში, აგრესიულ კომპრომატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოყვებულ ინტრიგებზე და აქეზებს პოლიტიკურად ალყაშემორტყმულ „ქართულ ოცნებაზე“ შეტევისათვის.

დასავლეთის ამოცანა ამჟამად არის ის, რომ თავიდან აიცილოს ქართული ვიწრო პარტიული პოლიტიკის დათვის საფანჯრი ჩავარდნა და მთლიანად აღიაროს მოსკოვის როლი. ქართველებს აზრთა სხვადასხვაობის ამ უკანასკნელმა ციკლმა თავი უნდა აუხილოს იმაზე, თუ როგორ გამოიყენა რუსეთმა „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ურთიერთობა თავისი ინტერესების წინ წასაწევი. 2008 წლიდან ქართველებს ისწავლეს, იმოქმედონ უკიდურესად ფრთხილად, რათა ყველა შესაძლებლობით გვერდი აუარონ მორიგ ომს რუსეთთან. ახლა დადგა დრო, აითვისონ პოლიტიკური სიფხიზლე, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ საბოლოოდ დაასრულოს მის მიერ დაწყებული ის მომენტი, რომელიც დაიწყო მაშინ, როდესაც საქართველო გამოვიდა სსრკ-შირის შემადგენლობიდან.



დედამიწის ზურგზე



იაპონია მზადაა, კვლავ გაუშვას თავისი ატომური ელემენტარული 21 ენერგოგოგონი, რომელიც გადარჩენა „ფუკუსიმას“ აზარის შემდეგ იაპონიის მთავრობა განიხილა კიდევ 18 ბლოკის გაშვებას ბირთვული მონესრიგებისათვის, არკვევენ მათი შესაბამისობის დონეს 2013 წლის ზაფხულში შემოღებულ უფრო მკაცრ უშიშროების სტანდარტებთან.

* * * კონფლიქტების შემთხვევაში დაგეგმილია მოითხოვონ მათი ეფექტიანების დადასტურება სირიაში რუსული ავიაციის წინააღმდეგ

როგორც აღმოჩნდა, კონტრაცეპტული ჯარები ჯერჯერობით ითვლიან მხოლოდ ხუთ ძმას. მათ შეძლეს, მოენსერეგებინათ მფრინავი ბომბების წარმოება სოფლის ადგილებში ალექსანდრია და იდლიბის პროვინციების რაიონში. ისინი ბომბებს აღჭურვავენ დისტანციური ასაფეთქებლობით იმის გაანგარიშებით, რომ იმოქმედონ 4-6 კილომეტრის სიმაღლეზე.



* * * ტაილანდში ავითმობის დაიღუპა 4 კაცი, კიდევ 4 დაიჭრა

პოლიციის მონაცემებით, ბომბი ჩადებულ იყო ერთ-ერთ ბლოკოსტში კსოკ-ფოს რაიონში ატანის პროვინციაში – ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, სადაც უმთავრესად მუსლიმანები ცხოვრობენ და მოქმედებენ მეამბოხეები, რომლებიც გამოდიან რეგიონის დამოუკიდებლობის ან უფრო ვრცელი ავტონომიის მხარდასაჭერად.

* * * აზრს საზღვარგარეთი შეიქცადა, სირიაში გაანადგურებინათ „ისლამური სახელმწიფოს“ ჯალათი ზინაბი ჯონი როგორც გაზეთი „გაზინტონი პოსტი“ იუსფა პენტიგონის პრეს-მდივან პიეტ კუპზე მითითებით, ამერიკულმა უპილოტო თვითმფრინავმა დარტყმა მიაყენა ქალაქ რაჰის რაიონში სადაც, დაზვერვის მონაცემებით, ამ მომენტში ჯინაბი ჯონი იმყოფებოდა. თუმცა, ტერორისტის ბედის შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

* * * კომპიუტერული თამაშების კომპანია პრეზიდენტობისათვის მასაჟისტი გოგონები დაიძირა

გამოკვლევებისა და განვითარების განყოფილების თანამშრომლები საათობით უსხედან კომპიუტერებს, ამუშავებენ პროექტებს. შედეგად ისინი რამდენადმე ასოციალურები ხდებიან. ამასთანავე კომპანიის მუშაკებს უწინდება ტკივილები კისერში. ახლა პროგრამისტებს შეუძლიათ მიიღონ მასაჟის სეანსი პირდაპირ სამუშაო ადგილზე, თუმცა ყველას ეს იდეა არ მოსწონს.



რუსული „დაყაპი და იბატონი“ საქართველოში



მონტაჟიც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით. მაგრამ „ქართული ოცნების“ ინტრიგები არის მხოლოდ ნაწილი უფრო მასშტაბური პრობლემისა, რომელიც შეეხება საქართველოს 2016 წლის პარლამენტის არჩევნების წინ და აქ საკვანძო აღმოჩნდა რუსული გავლენის შთამბეჭდავი გაძლიერება.

„ქართული ოცნება“, რომელმაც 2012 წელს არჩევნებში მოიპოვა ხმების უდიდესი უმრავლესობა და მოულოდნელი გამარჯვება კიდევ უფრო მეტად ავტორიტარულ ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე, იწყებს თავისი პოზიციების დათმობას. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ მოწყობილმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ კოალიციის მოწონების რეიტინგი დაცა ახალ მინიმუმამდე: პოტენციურ ამომრჩეველთა მხოლოდ 14-მა პროცენტმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ – მისცეს ხმა „ქართულ ოცნებას“. ამ დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც ხელისუფლება თავის ხელში აიღო 2003 წლის მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და ორიენტირებული იყო დასავლეთზე, კვლავ ახდენს თავის უარყოფით გავლენას მმართველ კოალიციაზე.

ამავე დროს პრორუსული ელემენტები, რომლებიც არიან ქართულ პოლიტიკაში ყოფილი სპიკერის ნინო ბურჯანაძის სახით და პოპულისტული გამონდომები „პატრიოტების ალიანსიდან“, ძალას იკრებენ, მათ ამაში ესმარებათ ევროპეული ჩავარდნები და მოსახლეობის მზარდი განზიდება ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაპირებათა შეუსრულებლობის პირობებში. საქართველო აკმაყოფილებს ნატოს კრიტერიუმებს ბლოკში შესვლისათვის, მაგრამ კვლავ აწედება მძაფრ წინააღმდეგობას ევროპაში რუსეთის მხრიდან რეაქციის საფრთხის გამო.

შექმნილ სიტუაციას მოსკოვი განიხილავს როგორც შესაძლებლობას – წინ წასწიოს თავისი ადგილობრივი მოკავშირეები „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხარჯზე. ორივე პარტია, რომლებიც, გარკვეულწილად, პროდასავლური მიმართულებისაა, მეტად რთულ წინააღმდეგობაში არიან ერთმანეთს შორის.

თი ოსეთის რეჟიმის გაუღერებული მონობები რუსეთთან ინტეგრაციის შესახებ თანმიმდევრულ გამოსმაურებას ვერ მოულოდნელა მოსკოვის მხრიდან, სადაც პოლიტიკოსები უპირატესობას ანიჭებენ ბუნდოვან სტატუსს კვოს სამხრეთი ოსეთი რუსეთის სტრატეგიაში მრავალთა შორის შემადგენელი ნაწილია.

ოქტომბრის შუა რიცხვებში საიტზე სახელწოდებით „უკრაინის ვიკილიკსი“ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს ციხეებში სისტემური გაუპატიურებებისა და წამებების კადრები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს. ამგვარი ვიდეოები, რომლებიც გამოქვეყნდა საქართველოში 2012 წლის პარლამენტის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, გახდა „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვების იმპულსი...

ეს და სხვა ვიდეო და აუდიოჩანაწერები შესანიშნავად ეწერება „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის ამჟამინდელ ბრძოლაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით. ამ ტელეკომპანიის მიმართ ნაყენებული იქნა მისი ყოფილი მფლობელის ქიზარ ხალვაშის სარჩელი. იგი ამტკიცებს, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ ყოფნის დროს მისი წილი კომპანიაში ლიკვიდირებული იყო უხამსად. ამ სარჩელს აქვს საფუძველი, ვინაიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართვეის პერიოდში „რუსთავი-2“ – ისევე, როგორც მდროინდელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უმრავლესობა – გახდა მმართველი პარტიის პოლიტიკის გაგრძელება.

ის, რომ ქართული პოლიტიკური დაჯგუფებანი წყალს ასხამენ მათსავე საკუთარი სტრატეგიის წისქვილს, მეტად აძლევს ხელს რუსეთს. „ქართული ოცნების“ მთავრობამ, რომელიც აღფრთოვანებულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი“ საზოგადოების ზიზღით, მჭიდროდ ჩასჭიდა ხელი ამასწინანდელ გამოაშკარავებას, რათა მიეყენებინა დარტყმები თავისი მონინაღმდეგისათვის მთელი რიგი ღონისძიებების მეშვეობით. შედეგად, საქართველო იყურება მომავალში, რომელიც მდიდარი მასშტაბური პოლიტიკური რყევე-

⊙ კრახი



მსა ჩვენი მომავალი?!

საბარტოშვილს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევრო 2017-ის შესარჩევ ტურნირში მესამე შეხვედრა ჩაატარა და მესამედ დამარცხდა, ხოლო დიდი ანგარიშით — მეორედ. ალექსანდრე ჩივაძის გუნდი ესპანეთში 0:5 განადგურდა. შეგახსენებთ, რომ 7 სექტემბერს პირენელებმა თბილისში 5:2 გაიმარჯვეს.

მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორი გოლი გაიტანეს, შესვენების შემდეგ კი — სამი. ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები წელს კიდევ ერთ ოფიციალურ შეხვედრას გამართავს: 17 ნოემბერს გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე შევდეთს დაუპირისპირდება. სკანდინავიელები 3 თამაშში მოპოვებული 7 ქულით ჯგუფში ჯერ-ჯერობით მესამე ადგილზე არიან.

საქართველო: ბექა ქურდაძე, ლევან გეგეჭკორი, ლაშა დვალი (კაპ), გიორგი გაძრანი, დავით უბილაძე, საბა ლოხვაძე (ლაშა ქოჩლაძე 62), გიორგი პაპუნაშვილი, ნიკა კაჭარავა (ილია კერძევაძე 77), ოთარ კიტეიშვილი, გიორგი ფანცულაია (აკაკი შულიაია 46), დიმიტრი ცნობილაძე.

გიორგი შოთაძე

⊙ ლაგიონარაი

ქართველი მოკაბეები ევროტასებზე

ჩემპიონთა თასი (ყოფილი „შეინგენის თასი“)
ახალი სახელწოდებით ტურნირი პირველად შარშან ჩატარდა, რომელშიც ფრანგულმა „ტულონმა“ გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ „შეინგენის თასის“ ბოლო გათამაშების გამარჯვებულც „ტულონი“ იყო. წლევეანდელ ჩემპიონთა თასის ყველა ჯგუფში „ბორჯღალოსანთა“ კლუბებია.

ვასილ კაკოვინის „ტულუზა“ პირველ პულშია განთესილი და მისი მეტოქეები „ოიონაქსი“ (საფ), „ალსთერი“ (ირლ) და „სარასენ-სი“ (ინგ) არიან.

მეორე პულში დათო ზირაქაშვილისა და ვიტო კოლელი „კლერმონი“, „ბორდოს“ (საფ), „ექსეტერ ჩიფსსა“ (ინგ) და „ოსფრენის“ (უელ) ეთამაშება.

მესამე პულში შალვა მამუკაშვილის ახალი კლუბი „გლაზგო ვორიორზი“ (შოტ), „ნორთჰემპტონ სენტისი“ (ინგ) და „სტარლესის“ (უელ) გარდა, დავით ხინაიგაშვილის „მეტრო რასინგს“ (საფ) გაუზნევს კონკურენციას.

მეოთხე პულში დავით ქუბრიაშვილისა და ზურაბ ფვინიას „სტად ფრანსის“ მეტოქეები „ლესთერ თაიგერსი“ (ინგ), „მანსთერი“ (ირლ) და „ბენეფიკი“ (იტა) არიან.

ჩემპიონთა თასი

გათამაშების მოქმედი ჩემპიონი ინგლისური „გლოსტერი“, რომლის საშინაო „ქინგსჰოლმ სთედიუმზე“ წელს „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიო თასზე ორი მატჩი გამართეს ტონასა და არგენტინის წინააღმდეგ, მსოფლიო თასამდე კი საკონტროლო მატჩში შეებნენ იაპონიას. ჩელენჯ თასის შარშანდელი გათამაშება იმით იყო ჩვენთვის გამორჩეული, რომ ჯგუფური ეტაპის შესარჩევში პირველად ქართული რაგბის ისტორიაში მონაწილეობა

მიიღო „კავკასიელებად“ წოდებულმა ქართული კლუბების სელექციამ. სამწუხაროდ, ორრანდისან საკვალიფიკაციო რუნგში იტალიური „როვიკო“ ბარიერი ვერ გადალახეთ და დავრჩით ჯგუფურ ეტაპს მიღმა. წლევეანდელი გათამაშების 5-ვე პულში ქართველი მორაგბეების კლუბები ასპარეზობენ.

პირველი პულში კარლენ ასიშვილის, გოდერძი შველიძისა და გიორგი ჟღენტის „ბრივი“ „ქონაპოს“ (ირლ), „ნიუქასლ ფალკონზს“ (ინგ) და დავით კაჭარავას „ენისეი ესტეიმს“ (რუს) ეთამაშება. აღსანიშნავია, რომ „ბრივი“ სატურნირო განაცხადში ესპურთა გუნდიდან მოხდა გიორგი ცუცქერიძე, რომელმაც შარშან 20-წლამდე „ბორჯღალოსნებთან“ ერთად „მსოფლიო რაგბის“ ალფა მოიგო.

მეორე პულში გიორგი ნაცარაშვილის „პო“ (საფ), „კასტრს“ (საფ), „ნიუპორტ დრაგონზს“ (უელ) და „სეილ შარქსს“ (ინგ) გაეჯიბრება; მესამე პულში მისიელ ნარიაშვილის „მონპელიე“, „კარდიფ ბლუზს“ (უელ), „ჰარლეინზსა“ (ინგ) და „კალვიზანოს“ (იტა) ეთამაშება.

პირველის მსგავსად მეოთხე პულშიც ერთბაშად ორი „ქართული“ კლუბია: ჯაბა ბრეგვაძისა და ვატო რაფაგას (ვეტირანი „ბორჯღალოსნის“ გია რაფაგას შვილი) „ვუსთერ ვორიორზი“ (ინგ) და გაგი ბაზაძისა და ლექსო ყაულაშვილის „ლა როშელი“ (საფ), რომლებსაც ჯგუფში მოქმედი ჩემპიონი „გლოსტერი“ (ინგ) და „ზებრე“ (იტა) „ამშვენებენ“.

მესამე ჯგუფში კი თამაზ მჭედლიძისა და გიორგი თეთრაშვილის „აჟენი“ (საფ) „ედინბურგის“ (შოტ), „ბორდოსა“ (საფ) და „ლონდონ აირიშის“ (ინგ) წინააღმდეგ იბრძოლებს.

მანუჩარ გიორგაძე

⊙ კალათხუთი

ბერკოიშვილის 22 ქულა თელ-აივში და დამარცხებული „მანუჩი“

მანუჩარ ბერკოიშვილმა საუკეთესო შესრულებით გამართა თურქულ „დარუშაფაკში“. სტამბოლური გუნდი ევროლიგის მორიგ ტურში თელ-აივში „მანუჩის“ ესტუმრა და საბოლოო გამარჯვება იზეიმა — 84:73.

თურქული კლუბის ტრიუმფში უმთავრესი როლი მარკოიშვილმა შეასრულა, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. იგი სასტარტო ხუთეულში იყო და პარტნიორთაგან ყველაზე დიდი დრო — 30 წუთი გაატარა. საბოლოოდ „ჯვაროსნის“ მონაგარმა 22 ქულა, 3 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 2 პასი შეადგინა.

მანუჩარმა 5-დან 4 ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 7-ჯერ დაჯარიმდნენ. მარკოიშვილის მოედანზე ყოფნის პერიოდში სტუმრებმა მასპინძლებზე 3 ქულით მეტი ჩააგდეს. გასაკვირი არ ყოფილა, რომ

„მანუჩს“ სარგებლიანობის კოეფიციენტი 24-ს უწია, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

შესხვედრის შემდეგ ევროლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა დარუშაფაკელთაგან სწორედ მარკოიშვილს ჩამოართვა კომენტარი: „ყველასთვის ცნობილია, რომ „მანუჩისთან“ ისრულში თამაში, სადაც მას წარმოუდგენელი მხარდაჭერა აქვს, ურთულესი საქმეა. სწორედ ამიტომ ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო. უკან დასახევი გზა არ გვექონდა და თამაში, რო-



მელიც აუცილებლად უნდა მოგვეგო, საჩვენოდ დავასრულეთ. ეს წარმატება სამომავლოდ თავდაჯერებას აუცილებლად შევძლებს“.

5 ტურის შემდეგ „დარუშაფაკ“ 2 გამარჯვებით მე-3 ადგილზეა.

ვიტალი ჯაფარიძე

⊙ ჩოგბურთი

ლონდონში ბიჭები დაჯგუფდნენ



გამაპატიმარ შორის წლის შემჯავებელ ტურნირზე საუკეთესო მ ჩოგბურთელი ორ ჯგუფში გადანაწილდა.

სტენ სმიტის ჯგუფი: ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი, ტომას ბერდისი, კეი ნიშಿಕორი.

ილიე ნასტასეს ჯგუფი: ენდი მარეი, სტანისლას ვავრინკა, რაფაელ ნადალი, დავიდ ფერერი.

ტურნირი ხვალ ჯოკოვიჩ-ნიშಿಕორის მატჩით გაიხსნება 18 საათზე.

ეს ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 7 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ყველაზე მეტჯერ (6-ჯერ) როჯერ ფედერერს აქვს მოგებული (2003, 2004, 2006, 2007, 2010, 2011)

ბაჟან დოლიძე

⊙ ფეხბურთი

მუსიმ სრული დატვირთვით იმარჯობა

მსაბუნში გამოცემა AS იუნჯე-ბა, რომ არგენტინის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ლიონელ მესიმ „ბარსელონას“ საფარჯიშო მატჩის დროს გოლი გაიტანა და დარტყმებს კარგად ასრულებდა.

ამავე ინფორმაციით, „ბლანუგ-რანას“ ოფიციალური ვებ-გვერდი მესის ვარჯიშის სურათებს შეგნებულად არ აქვეყნებს.

„ელ კლასიკო“, „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის 21 ნოემბერს, სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება.

კოპა კოპახიპი



⊙ ძირის ორმო

მაიკლ ჯორდანი - ყველაზე მდიდარი ვეტირან სპორტსმენთა შორის

მ ვარსკვლავთა შორის, რომლებმაც აქტიურ სპორტს თავი უკვე დაანებეს, კალათხუთის მეფედ აღიარებული ამერიკელი მაიკლ ჯორდანი ყველაზე მაღალშემოსავლიანია.

გასულ წელს მისი „ქეში“ 100 მილიონ აშშ დოლარს მიუახლოვდა. ეს თანხა დაახლოებით ექვსი მილიონით მეტია იმაზე, რაც ჯორდანმა NBA-ში ასპარეზობის დროს მიიღო. ამ ლიგაში კალათხუთის ლეგენდამ, როგორც მოთამაშემ, 15 სეზონი გაატარა.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად ჯორდანი NBA-ს ერთ-ერთი კლუბის „შარლოტის“ მეპატრონეა.

ზადრი იაშვილი

⊙ ინტერნეტიდან



დიდი ბლერჰუნი და ბუჩოა შენაბეა ლუბიჩი

ერთობ უნაღური ამბავი მოხდა ამ ცოტა ხნის წინთ არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. როგორც ბრაზილიური ბულვარული მედია გვამცნობს, დუბაიში ჩასულ ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელს რონალდინიოს, იგივე „გაუჩოს“, დიდი სექს-ამბები და თავგადასავლები გადახდენია.

ერთერთ ექაურ საუკეთესო ბარში სამხრეთამერიკელს შემთხვევით უტანწერნეტესი მოდელი ელენა მარკოვიჩი გაუცნია და იქვე, არაბეთის მცხუნვარე მიწაზევე დაუწყია მისთვის ალერსი, ბლლარძუნი და ტუჩოთა შენებება. რომ არა ადგილობრივი მორალისტები და პოლიცია, ვინ იცის, ეგებ იქვე, ბარშივე მომხდარიყო „მოსახდენი“.

ელენა მარკოვიჩი ერთი თვალის ჩაპაჭუნებით გაცნობადი ჩვეულებრივი ბითური ლამაზმანი ნუ გვეგონებათ. იგი 2009 წელს „მის სერბეთადაა“ აღიარებული და მასთან სვანცალზე არაერთი თანამემამულე მამაკაცი ოცნებობს. როგორც ჩანს, რონალდინიოს ავტორიტეტმა მაინც თავისი ქნა და ბალკანეთის ულამაზესი ასული უმაღლესელებრივ „ნატაშად“ გარდაიხსნა...

როსტომ რაჭველიშვილი



საქართველოს რესპუბლიკა

© საგარეო ვაჭრობა

„ნიკაო“ თავისუფალ ვაჭრობას!

საბარტემელოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის ჩინეთში ოფიციალურ ვიზიტად ყოფნის დროს, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიმართა, თავის კოლეგასთან მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, ორ ქვეყანას შორის უახლოეს დღეებში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო. საქართველოს მხარე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დელეგაცია წარმოადგენს, ჩინეთისა — კომერციის სამინისტრო.

ბოლო წლებში, საქართველოს უდიდეს სავაჭრო პარტნიორთა ნუსხის ათეულის პერსონიფიცირებული შემადგენლობა, არსებითად არ იცვლება. მათ წილად ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბრუნვის დაახლოებით 65 პროცენტი მოდის, მოცულობის მხრივ კი ლიდერები არიან **თურქეთი** (1,1 მილიარდ დოლარზე მეტი ბრუნვით), ასევე **აზერბაიჯანი და ჩინეთი**, რომლებთანაც სავაჭრო ბრუნვა, თურქეთთან შედარებით, ორ-ორჯერ ნაკლებია.

საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდი წილი **სპილენძსა და კონცენტრატებზე** მოდის, მეორე ადგილზეა **სპილენძის ჯართი**, მესამეზე — **ღვინო**, მეოთხეზე — **ალუმინის ჯართი**, მეხუთეზე — **უალკოჰოლო სასმელები**.

ეს რაც შეეხება ჩვენი ექსპორტის მონიშნულ პოზიციების სტრუქტურას, რომელიც, თავისთავად, იმას მოწმობს, რომ ჩინეთში, არსებითად, გასატანი ბევრი არც არაფერი გვაქვს. რაც შეეხება ჩვენი ექსპორტის ღირებულებას, საკმარისია იმით თქმა, რომ ხუთეულის ჩამკეტი უალკოჰოლო წყლების გატანით მიღებულმა თანხამ 100

ათას დოლარს ოდნავ გადააჭარბა. კომენტარი, რომ იტყვიან, ზედმეტია, რადგან ეს არა თუ ჩინეთის ბაზრისთვის დარჩა არსებითად შეუმჩნეველი, არამედ თავად საქართველოს საგარეო-სავაჭრო სალდოს დაატყორამე და ვერც ექსპორტიორებმა ნახეს დიდი ხეირი.

ჩინეთის ექსპორტის თაობაზე კი მხოლოდ იმის თქმას აქვს



აზრი, რომ მისი პალიტრა შეუდარებლად მრავალფეროვანია — **გამოთვლითი მანქანები და მათი ბლოკები, ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი ნაგლინი, სატელევიზიო სიგნალის მიმღები აპარატურა, პაერის კონდიციონერების მოწყობილობები**, ავეჯი, ტანსაცმელი, სათამაშოები და სხვ. მოცულობით კი სამამულო ექსპორტს დაახლოებით ექვსჯერ აღემატება, თუმცა ეს არც არის დიდად გასაკვირი.

ბუნებრივია, რომ საგარეო ვაჭრობის თაობაზე ნებისმიერი შეთანხმების და მით უმეტეს, ხელშეკრულების არსი ის არის, რომ მისი ამოქმედებით ორივე მხარე კმაყოფილი უნდა დარჩეს, რისი მიზანი ეროვნული ეკონომიკების განვითარების დონის შემდგომი ამაღლება უნდა იყოს. საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭ-

რობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, არსებული ინფორმაციით, ჩინეთიდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა დაახლოებით 10 პროცენტის ფარგლებში გაიზრდება, ექსპორტირებულია — დაახლოებით 2 პროცენტით. თვალნათლივ ჩანს, რომ პროცენტული გამოსახვითაც კი, თანაფარდობა აშკარად ჩინეთის ექსპორტის მხარესაა, თუმცა არც ესაა გასაოცარი, რადგან იქაურ ბაზარზე ჩვენ კონკურენტუნარიანი საქონელი ნაკლებად მოგვეპოვება. მაგრამ, ყველაზე დიდი საფრთხე ამ



მხრივ სამამულო მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას დაემუქრება მას შემდეგ, რაც იაფიანი ჩინური საქონელი ჯერჯერობით თავისუფალ კიდეზე ბევრ ნიშნს დაიკავებს ჩვენს სამომხმარებლო ბაზარზე. და, მართალია, ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მთავრობაში ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მოლოდინია, რასაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით ჩატარებული სპეციალური კვლევა ადასტურებს, მაგრამ ძალიან ბევრ საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით დაკვირვება რომ უნდა, რათა სამამულო მწარმოებელი ერთიანად არ დაიჩაგროს, უდავოა.

ოთარ ტურაბაილიძე

© კრიზისალი

მაკალოზა ლობკინა

ლოტკინაში ცენტრალური იარაღიდან გასროლის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში მომხდარს ადასტურებენ და აღნიშნავენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას და იარაღის უკანონო ტარებას გულისხმობს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა ქუჩაში მოხდა. ამ დროისთვის მკვლელობაში ბრალდებულის დაკავების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. შსს-ში მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ მიმდინარეობს სამომოძიებო მოქმედებები.

დააკავეს ნარკორეალისაბორი

წარსულში ნასამართლეთი, 1977 წელს დაბადებული ზვიად ს. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ბრალდებით სადასლოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა შემდგომი რეალიზაციის მიზნით, უკანონოდ შეიძინა და შეინახა 0,34638 გრ ნარკოტიკული საშუალება პეროინი, რომელიც შემდეგ მარნეულის რაიონის სოფელ საიმერლოში სხვადასხვა დროს უკანონოდ გაასაღა. ნარკოლოგიური შემონეებით დაკავებულს მტკადონის ჯგუფის ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

© გზად — მომავლისკენ!

„გეორგია“: 75-მილიონიანი სოფელი სახელმწიფოს დაფინანსებით

(მეორე ბეგრადი)

დღეს ეს ადამიანები იღებენ სუბსიდიებს სახელმწიფოსაგან, სახელმწიფო ამ ფულს ყრის. ქვეყანაში, სამწუხაროდ, წინა ხელი-სუფლების დროს, მარგინალური აზროვნება დამკვიდრდა, რადგან წახალისებული იყო სოფელი. ადამიანები მიდიან და იხვეწებიან: მინდა, ვიყო ლარიბი, რომ არ მოვკვდე მშვირთი. ამ ფულს სახელმწიფო სესხსულობს სხვა ქვეყნებში, მერე ამ ფულს ყრის, ოღონდ კმაყოფილებას ვერ იღებს. ჩვენი მიზანია, რომ იმ ფულით, რაც უნდა გადაიყაროს, შევქმნათ სოფელი, რომელიც აქეთ მოგვცემს ფულს, ანუ ვეტყვან, რომელსაც სახლი არ აქვს და ქირის ფულს აძლევს სახელმწიფო, მკურნალობის, სწავლის, კვების, მგზავრობის ფულს აძლევს სახელმწიფო — ეს ტვირ-

თი მოეხსნას სახელმწიფოს და ხელგამონვდილ მდგომარეობაში ჩაყენებული მოქალაქე გახდეს დოვლათის შემტანი ბიუჯეტში. შედეგად ვიღებთ რას? — დაცულ და დასახლებულ საზღვარს, მცოდნე გლეხს, მიღებული დოვლათის სწორ განაწილებას, ბიუჯეტში ფულს, მიწების არგაციდვას, რადგან მინა არ იყიდება და იჯარით გადაეცემა ამ სოფელს. საზღვრისპირა რეგიონებში მიწების არგაციდვა კი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის.

— **რამდენ ხანში დაიფარება სახელმწიფოს მიერ გაცემული სესხი? საბილეთი პროექტისთვის 75 მილიონია გამოყოფილი, ამ თანხას რაწადა დაიბრუნებს სახელმწიფო?**

— რა თქმა უნდა. 15 წელია ამ პროექტის ხანგრძლივობა. თუ სახელმწიფოებრივად შევხედავთ ამ ყველაფერს, ეს არის ნორმალუ-

რი დრო. თუმცა, სოფელი გადახდისუნარიანი ხდება წელიწად-ნახევარში. თავიდან, როდესაც სურვილი იყო ამისი და ცოდნა არ იყო, ვერგანსორციელების შიში მეტად არსებობდა. მაგრამ რაც უფრო კარგად ერკვევი სისტემაში, დამაჯერეთ, შიში საერთოდ ქრება.

— **რა კრიტერიუმებით შეირჩევიან ვეტერანები?**

— გამოცდილებიდან გამომდინარე ამ კრიტერიუმებს დაანესებენ ებრაელები. აქცენტი გაკეთდება იმ ოჯახებზე, ვისაც არ აქვს საცხოვრებელი, რომლებიც ქირას იღებენ სახელმწიფოსგან, შემდეგი განმსაზღვრელი იქნება სოციალურად დაუცველობა და მაქსიმალურად დაბალი ქულები. შემდგომ დევნილი, ეკონომიკური ვეტერანები, რომლებიც სახელმწიფოსგან იღებენ სუბსიდიას.

— **დღეს რამდენი ვეტერანია სა-**

ქართველოში და რა უჯდება სახელმწიფოს მათი შენახვა?

— 73 ათასი ადამიანია ქვეყნის მასშტაბით. თავისი სოციალური პროგრამებით ეს თანხა ცდება 100 მილიონ ლარს.

— **გასაგებია, რომ ეს გამოცდილება არსებობს ისრაელში, მაგრამ რა გარანტიაა, რომ პროექტი გაამართლებს საქართველოში? პირველ ეტაპზე მაინც ეს პროექტიც წარმოადგენს სუბსიდიას. სახელმწიფო დღესაც ძალიან ბევრ სუბსიდიას გასცემს, თუნდაც აგრო-დაზღვევის, შეღავათიანი აგროკრედიტის მიმართულებით და ჩვენ ვხედავთ, რომ არც ისე გრანდიოზულია შედეგები...**

— დიას, სამწუხაროდ. მაგრამ, აი, მაგალითად, სეტყვისგან დაზარალებულებისთვის რა თანხების გადახდაც მოხდა, აქედან სეტყვისგან დაცვის საშუალებები რომ შეგვეძინა, ჯობდა. ცაში სას-

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო სამძიმარს უცხადებენ საკრებულოს თავმჯდომარეს პაატა ქურდოვანიძეს ძმის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო.

აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ პაატა ქურდოვანიძეს ძმის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო.

მამუკა კვიტაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს პაატა ქურდოვანიძეს ძმის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო.

კაკო კონიას ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება ქირში თანამდგომი უერთგულესი მეგობრის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

დარეჯან ელიაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ბატონ პაატა ქურდოვანიძეს ძმის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო.

ლია და რომან კიზირიები ოჯახით დიდ მწუხარებას გამოხატავენ ახლობელი ადამიანის, საუკეთესო პიროვნების

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ გუნავა ოჯახით მწუხარებით იუწყება ღირსეული პიროვნების, ვაჟაყფური სულისკვეთების მქონე, გაჭირვებაში მყოფი თითოეული ადამიანის მხარში ამომდგომი, კეთილშობილი კაცის

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის დიდ ოჯახს.

მერაბ მამაცაშვილი, დემეტრე ჯაიანი, ჯამბულ წულაია, შალვა მგალობელიშვილი, სპარტაკ ხუნწელია დიდ გულისტკივილს გამოხატავენ უსაზღვრო სიკეთითა და რაინდული სულით მადლცნებული, ღირსეული პიროვნების

თამარ ქურდოვანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

მარინა კანდელაკი, თენგიზ კალანდაძე, გურამ გოგიაშვილი, ალექო ასლანიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკეთესო პიროვნება

თამარ ქურდოვანიძის

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ძმას პაატა ქურდოვანიძეს.

არჩილ გოგელია, ზურაბ ცქიტიშვილი, იური ოსიპოვი, დავით ბეთანელი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორის (სუპო) ამალოვალი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

როლ ტყვიებს არ ვგულისხმობ. ამისთვის ჭურვები არ არის საჭირო. ისრაელში სპეციალური მოწყობილობები აქვთ გადაჭარბებული — სადაც არის ხეხილი და ვენახი, იქ აუცილებლად მოდის სეტყვა. მეფე ისრაელში 10-ათასობით შეტარია ასე გადახურული და შეფუთული. გარანტირებულად იციან, რა მოსავალი ექნებათ ყოველ წელს. მოკრეფილი არ აქვთ და უკვე გაყიდული აქვთ. — **როდის დასრულდება ეს პროექტი, რამდენ წელში ფიქრობთ დაახლოებით 25 ასეთი სოფლის შექმნას, თუ საბილეთი პროექტმა გაამართლა?**

— მე მჯერა უწმინდესის ლოცვა-კურთხევის და მჯერა, რომ ეს პროექტი წარმატებული იქნება. ჩვენ თუ ნორმალური ტემპებით ვიმშრომებთ და იქნება მონდომება, ამ შემთხვევაში 5-7 წლის განმავლობაში საქართველოში რაღაც კუთხით კარგი, წარმატებული ცხოვრება დაიწყება. როცა „გეორგია“ ბრუნდა გადაიქცევა, მას ბაზრის ძიება აღარ დასჭირდება. commersant.ge

აბიჯებენ მტარვალები წმინდა სისხლის ტბაში!..

ანუ 100 000 წამებულთა სოვნა - XIII საუკუნე

**„მე ისე ლექსს რა გამაბედინებს
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის,
მიწა ჭამს ჯალათ ჯალათედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის!“**

ბრიგოლ აბაშიძე

ხვარაზმელთა ლაშქარივით
მოჯარულა ღრუბელი!
დღე გათენდა უშორესი
დილასავით ავი!
თვით მეტესთან,
თვით მეტესთან
ცოდვით დუღდა მტკვარი!
თითქოს დღესაც ყრია ხიბზე
ათასობით ხატი...
იძულებით რომ აღსრულდეს
ახირება ავი -
ქრისტიანთა გადათელონ
სალოცავი მათი!
რა ღვთისმშობლის სასოება,
რა იესოს კვართი!
.....
უარზეა რწმენამტკიცე
თბილისელი მრევლი!

აბიჯებენ მტარვალები
წმინდა სისხლის ტბაში!
და ასობით მოკვეთილი
თავი ცვივა მტკვარში!

ნანა ღვინაფაძე



გუშინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II მთაწმინდის სიძე 100 000 წამებულთა სოვნის პარაკლისი გადანიშნა.



ცინცხალი ანეკდოტები

მე-18 საუკუნე. თბილისში მუტრუკს
გვირილა უჭირავს და მკითხაობს:
- ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ,
არ ვუყვარვარ...
მე-19 საუკუნე. კოსტაპრუნა ფრანტს გვი-
რილა უჭირავს და მკითხაობს:
- ვუყვარვარ? რა მნიშვნელობა აქვს მომ-
ცემს, არ მომცემს, მომცემს, არ მომცემს...
მე-20 საუკუნე. გრძელთმიან საყურთან
ბიჭს გვირილა უჭირავს და მკითხაობს:
- მომცემს? აბა რას იზამს შევძლებ, ვერ
შევძლებ, შევძლებ, ვერ შევძლებ...
21-ე საუკუნე. გაურკვეველი სქესის არ-
სება გვირილის ყვავილს (ICQ-ს ლოგო) მის-
ჩერებია და ფიქრობს:
- „სამყაროს სული“. შენი გაცნობა მინ-
დაო. ნეტა ვინ
არის? ქალია? კა-
ცია? აქტიურია?
პასიურია? ...
* * *
მგელი და წი-
თელქუდა შესვდ-
ნენ.



- გამარჯობა, დებილო
- კარგი, რა, მგელი დებილს რატომ
მეძახი? მე სომ წითელქუდა მეძია, წითე-
ლი ქუდი მახურავს, წითელი კაბა... წითელი
ფეხსაცმელები... ისე მართლა რა დებილი-
ვით მაცვია...
* * *
ორი ნარკომანი ტყეში მიდის. ერთს რა-
ღაც მოუწია და ბურჩქებში გადავიდა. ცო-
ტა ხანში იქიდან იძახის:
- ქალაღი არა გაქვს?
- კარგი რა, ბიჭო, დატოვე და წამოდი!
* * *
ძაღვმა საღამოს გზა შეიმოკლა და სა-
საფლავს გაგლით მიდის. თან კანკალებს.
უცებ ზურგს უკან ნაბიჯების ხმა ესმის. გა-
უსკდა გული. ხმა ახლოვდება, ვიღაც ჩქარი
ნაბიჯით ეწევა.
რაც არის ეგ არისო, მოტრიალდა და - ვი-
ლაც ტიპი მოდის, თავისთვის. ამოისუნთქა.
- უი, როგორ შემეშინდა, - გაუღიმა უც-
ნობს.
- პოო? არა უშავს, მეც შემეშინდა სოლმე,
როცა ცოცხალი ვიყავი.

სულიერება

სასწაულოქმედი მკურნალი ქმედი - კოზმა და დამიანე

14 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი
სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სასწაულოქმედ
მკურნალებს ძმებს კოზმას და დამიანეს.
საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძმებს კოზმას
და დამიანეს ძველთაგანვე პატივს მიაგებენ რო-
გორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ეს ტყუპი
ძმები III საუკუნის ბოლოს, არაბეთში დაიბადნენ.
სამკურნალო ხელოვნების შესწავლის შემდეგ,
ისინი არაბეთის ქალაქებსა და სოფლებში დაი-
არებოდნენ, ქადაგებდნენ და ქრისტეს ძალით სწე-
ულ ადამიანებს და მხეცებსაც კი კურნავდნენ. გა-
სამრჯელოზე უარს ამბობდნენ და ამ გზით მრავალი
წარმართი ქრისტიანობაზე მოაქცევს.
...ძმებს დევნა დაუწყო მცირე აზიის პრეფექტმა
ლისიუსმა. ისინი დააპატიმრეს, დიდხანს ტანჯა-
დნენ და აიძულებდნენ ქრისტეს უარყოფას. ბოლოს,
303 წელს მათ თავი მოკვეთეს.

მოგვიანებით
მკურნალთა წმინ-
და ნაწილები სი-
რიის ქალაქ კვი-
როსში დაკრძა-
ლეს, სადაც მათ-
გან უამრავი გან-
კურნება აღეს-
რულა.
წმინდანების
მიერ განიკურნა
იმპერატორი იუსტინიანე (527-566 წწ.)!
ნიშანდობლივია, რომ უვერცხლო მკურნალი,
კოზმა და დამიანე ექიმთა მფარველად ითვლებიან
და ზოგიერთ სამედიცინო ემბლემაზე გამოი-
სახებიან.



გიული ლიპარტი

ბრაკონიერები

ფრინველს ხმის ელექტრონიკაზე იბაზრება

ბარამუსდაცვითი ზედა-
ხედავლობის დეპარტამენტმა,
ნადირობის სეზონის გასწვრივ
დღემდე, 168 ცალი ფრინველის
ხმის იმეიტატორი, ე.წ. მანოკი
ამოიღო.
ხმოვანი სიგნალების გამოცე-
მი ელექტრონული მოწყობილო-
ბების გამოყენებით ფრინველის
მოზიდვა დასჯადია და აღნიშ-
ნული ქმედება დეპარტამენტის
მიერ მკაცრად კონტროლდება.
ე.წ. მანოკის გამოყენების გარდა,
ამ დროისთვის დეპარტამენტის
მიერ გამოვლენილია ნადირობის
წესების დარღვევის 473 შემთ-
ვევა. აქედან 3 ფაქტი სისხლის სა-
მართლის დანაშაულის ნიშნებს
შეიცავს.
გარემოსდაცვითი ზედამხედ-
ველობის დეპარტამენტი მთელი
საქართველოს მასშტაბით გა-
ნაგრძობს პრევენციულ ღო-
ნისძიებებს და ყველას მოუწო-
დებს, ნადირობის წესები დაიც-
ვან, სამართალდარღვევის და-
ფიქსირების შემთხვევაში კი და-
უკავშირდნენ ცხელ ხაზს - 153.

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს,
იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც
კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენი-
ანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოი-
არე ნარგავებით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა).
ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია,
წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

ყურადღება!

ძირაშდებ 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ
ადგილზე, ნავთულის ბაზრის წინ, გარემონტებული,
ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.
საუკეთესო საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციუ-
ლი საქმიანობისთვის.
მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი - მეველის
ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035,
მანანა.

პასიონატთა საყურადღებო!

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი
უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ ინფორმაციაა...
პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან
ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დანაშაულს
საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტ-
ში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ:
(995 32)224 00 99, 224 00 98.

კადრი



ავტორთა საყურადღებო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორ- თა ხარჯით. ავტორთა მოსაზრე- ბები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხ- ვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.	საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA მარაბლის ძ. №7 ინდექსი 66434	გამომცემელი: შპს „ქიანაფორმა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“ გ.რ. რობაქიძის №7	uac(უაქ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001	მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86	პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგულაძე 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაძიძე
--	---	--	--	--	---